ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი უნივერსიტეტი

20 დეკემბერი, სამშაბათი, 2016 წ., №15

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი 70

ჩანაჯდი

მე-6-11 გვ.

ნომერში

- მე-6 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობა უკვე დაკომპლექტებულია — გვ. 5
- თვითმმართველობის სტრუქტურის ფორმირებაზე პარლამენტის კომიტეტთან მუშაობა გრძელდება — გვ. 5
- ჩვენ ვებრძვით ბარბარიზმებს — გვ. 12
- „მეომარი“ ისტორიკოსი, რომელიც ტერიტორიების დასაბრუნებლად შეურიგებლად იბრძვის — გვ. 13
- ადამიანად ყოფნის ნიჭი

ზურაბ ფორაქიშვილი ილია ჭავჭავაძესთან ერთად

გვ. 15

გაგვმართლებოდეს 2017 წლის თანმდევი იმედები!

— ახალი წელი ბევრ გეგმასთან არის დაკავშირებული. ვისურვებდი, 2017 წელი იყოს ისეთი წელიწადი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ვიამაყოთ ამ წლით და ვთქვათ, რომ უნივერსიტეტი კიდევ უფრო მეტად განვითარდა, რომ იგი უფრო გამორჩეული კვლევითი კერა გახდა იმასთან შედარებით, ვიდრე ადრე იყო.

2017 წელს ბევრი სიახლეა დაგეგმილი: ამოქმედდება თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რასაც დავაანონსებთ. ამ გეგმის არაერთი მიმართულებაა საინტერესო, მათ შორის, ადმინისტრაციის უფრო მეტად გამართული მუშაობა, ადმინისტრაციული და ბიუროკრატიული მარწუხების მოხსნა, სტუდენტებზე ორიენტირებული გარემო; არაერთი რამ არის, ასევე, დაგეგმილი საერთაშორისო მიმართულებით: საერთაშორისო მასშტაბის არაერთი ახალი პროგრამა გველოდება 2017 წელს, რაც მეტ საშუალებას მოგვცემს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოჩნდეს, როგორც სერიოზული საერთაშორისო დონის უნივერსიტეტი. ინტენსიურად წარიმართება მუშაობა ევროგაერთიანების ახალ ფონდებთანაც. ეს იქნება პირველი წელიწადი, როდესაც ჩვენი პროექტების რაოდენობა მაქსიმალურად გაიზრდება. „ერასმუს+“-ის ფარგლებში, ასევე, გვექნება უფრო მეტი გაცვლითი პროგრამა, რაც ნიშნავს იმას, რომ მასში გაცილებით მეტი სტუდენტი და პროფესორი მიიღებს მონაწილეობას. „ერასმუს პროექტების“ რაოდენობით მხოლოდ ერთი უნივერსიტეტი გვისწრებს და ეს არის კიევის შევჩენკოს უნივერსიტეტი, თუმცა ვვარაუდობთ, რომ ვაჯობებთ ჩვენს მეგობარ უნივერსიტეტსაც.

სიახლეებია დაგეგმილი ინფრასტრუქტურულ პროექ-ტებთან დაკავშირებითაც. ის ფონდები, რომლის ამოქმედებაც დაანონსდა, დაიწყებენ მუშაობას. გაიზრდება კურსდამთავრებულთა ჩართულობა. ჯერჯერობით არ მინდა გამოვყო და ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ძალიან საინტერესო პარტნიორი გამოგვიჩნდა, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტის საიმიჯო მიმართულებით იმუშავებს. ბევრი რამ შეიცვლება სტუდენტურ ცხოვრებაშიც.

საუნივერსიტეტო საზოგადოებას — ყველა სტუდენტსა და პროფესორს, ყველა ჩვენს კურსდამთავრებულს თუ ადმინისტრაციის თანამშრომელს ვულოცავ ახალ 2017 წელს. ყველა მათგანს ვუსურვებ დიდხანს და ხარისხიან სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ოჯახებში სიმშვიდეს... სტუდენტებს — ხარისხიან სწავლებას, კურსდამთავრებულებს — პრესტიჟულ და სწრაფ დასაქმებას, პროფესორებს — დიდ მეცნიერულ შედეგებს!

გაგვმართლებოდეს 2017 წლის თანმდევი იმედები!

გიორგი შარვაშიძე, *თსუ-ის რექტორი*

2016 წლის მოვლენა და ადამიანი ფაკულტეტებზე

ყოველი წლის ბოლო შეფასებების, გადაფასების და სამომავლოდ ახალი იდეების დაგეგმვის დროა. გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია დაინტერესდა, თუ რა მნიშვნელოვანი მოვლენებით გახდა გამორჩეული 2016 წელი თითოეული ფაკულტეტისთვის.

საგრანტო პროექტის ჯგუფი

საგრანტო განაცხადი და 250000 ევროს ოდენობის დაფინანსება

ირაკლი ბურდული, *თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი:*

— იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩართულია მრავალ სამეცნიერო-კვლევით ინიციატივებსა და პროექტებში, რაც ძალიან მალე უაღრესად საჭირო სასწავლო და სამეცნიერო პროდუქციის შექმნაში აისახება. ამ აქტივობებიდან გამოვყოფდი იურიდიულ ფაკულტეტზე წარმატებით განხორციელებულ პროექტს: „ქართული სისხლის სამართლის პროცესის ინტერ-

მე-3 გვერდზე

რა სიახლეებს უნდა ველოდოთ მომავალი წლიდან

საუნივერსიტეტო სივრცე არის ცოდნის მოპოვების, დაგროვებისა და გადაცემის მიზნით დაკავშირებულ პროფესორთა და სტუდენტთა ერთობლიობა, რომელიც უნივერსიტეტის ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლებისა და კორპორატიული ეთიკის დაცვის პრინციპებს ემყარება. ამ სივრცის ადმინისტრაციული მართვის მიზანი და ამოცანები უნივერსიტეტის ძირითადი ფუნქციის — სწავლა/სწავლება/კვლევისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი გარემოს შექმნაა.

თსუ-ის კანცლერი ნუნუ ოვსიანიკოვა, რომელიც სულ რამდენიმე თვეა, რაც ადმინისტრაციას ჩაუდგა სათავეში, ჯერ კიდევ საარჩევნო პროგრამაში წერდა, რომ, ადმინისტრაციული საკითხების და პრობლემების გადაჭრის გარდა, უნივერსიტეტისთვის მთავარია ინოვაციურობა და მეცნიერული კვლევის შედეგების კომერციალიზაცია, რაც, მართვის მხრივ, შესაბამისი ამოცანების გადაჭრას და ხელშემწყობი გარემოს შექმნას საჭიროებს. იგი აღნიშნავდა, რომ ნებისმიერი პრობლემის გადაჭრისას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მენეჯმენტის ღიაობას, გამჭვირვალობას, ეფექტიანობასა და ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფდა.

ამჟამად **ნუნუ ოვსიანიკოვა** *გვესაუბრება, თუ რა სამუშაოების შესრულება მოასწრო ახალმა ადმინისტრაციამ და რა ამოცანები დგას მომავალი წლისთვის უნივერსიტეტის წინაშე.*

მე-2 გვერდზე

რა სიახლეებს უნდა ველოდოთ მომავალი წლიდან

ინტერვიუ თსუ-ის კანცლერთან ნუნუ ოვსიანიკოვასთან

პირველი გვერდიდან

— ქალბატონო ნუნუ, რა მდგომარეობა დაგხვდათ უნივერსიტეტში და რაზე მიმდინარეობს ამჟამად მუშაობა?

— იმ პრობლემათა შორის, რომელთა გადაწყვეტა პირველი რიგის ამოცანად მიგვაჩნია, სტუდენტების მიერ დაყენებული მოთხოვნებია. ჩვენ გააზრებული გვაქვს, რომ ადმინისტრაციამ სტუდენტებისთვის არა მარტო სასწავლო პროცესის შესაბამისი გარემოს შექმნა უნდა უზრუნველყოს, არამედ მისცეს მათ თვითრეალიზაციის საშუალებაც.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიმართ ადმინისტრაცია ისეთ აქტივობებს უჭერს მხარს, რომლებიც მათი კვალიფიკაციის ამაღლების, კვლევითი პოტენციალის გაზრდის, მიღწეული შედეგების საერთაშორისო სამეცნიერო არენაზე წარმოჩენის, სასწავლო სამეცნიერო პროცესთან დაკავშირებული საავტორო და ნათარგმნი ბეჭდური მასალის თუ სახელმძღვანელოების გამოცემისკენ არის მიმართული. ასევე, მნიშვნელოვანია სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გამოვლენის, განვითარებისა და კომერციალიზაციის პირობებზე ზრუნვა.

პრობლემათა მეორე წყება, რომელიც უახლოეს ხანში გადაწყვეტას მოითხოვს, ორგანიზაციული განვითარების ოპტიმიზაციასთან და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიანობის გაზრდასთან არის დაკავშირებული. განისაზღვრება თითოეული სტრუქტურული ერთეულის მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისა და პასუხისმგებლობის ხარისხი და ანგარიშვალდებულება თავისი საქმიანობის შედეგზე. განვითარების ვექტორი სტრუქტურული დეცენტრალიზებისკენ იქნება მიმართული, გაიმიჯნება კომპეტენციები და რეალიზებული იქნება გუნდური პასუხისმგებლობის პრინციპი.

ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია მომსახურების სერვისის გაუმჯობესება, რაც უნდა წარიმართოს უნივერსიტეტის მართვის სისტემებში საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა და მათი ფართოდ გამოყენების დანერგვით.

— ამ ფონზე რა სიახლეებს უნდა ველოდოთ მომავალი წლიდან?

— სიახლეებს, რომლებსაც მომავალი წლიდან უნდა ველოდოთ, პირობითად „ადმინისტრაციული მართვის ეფექტურობის გაზრდას“ დავარქმევდი.

დღეს ჩვენი მთავარი გამოწვევა არის უნივერსიტეტის, როგორც სანიმუშოდ ორგანიზებული ინსტიტუციის ფუნქციონირება, რაც მოიცავს:

უნივერსიტეტის არსებული ადმინისტრაციული და სხვა რესურსების ოპტიმიზირებას, ეფექტურობის ამაღლებას;

სასწავლო/კვლევით, სამუშაო გარემოს გაუმჯობესებას, სერვისების უზრუნველყოფას;

უნივერსიტეტსა და საზოგადოებას შორის კავშირის გაძლიერებას, საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებას.

საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი გულისხმობს უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლების ხელშეწყობას, რაც უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას პასუხობს. მომავალ წელს ყველა ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმას ვგეგმავთ.

— როგორც ვიცით, ახლა მიმდინარეობს ბიუჯეტის შემუშავების პროცესი. რა პრიორიტეტები გამოიყოფა მომავალი წლის ბიუჯეტში?

— უნივერსიტეტის ბიუჯეტი და ფინანსური რესურსები განვითარების სტრატეგიულ პრიორიტეტებზე იქნება გათვლილი და მუდმივი მონიტორინგის პირობებში განხორციელდება.

ბიუჯეტის მონიტორინგისას პრიორიტეტი მიენიჭება ხარჯების გამჭვირვალობას (ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნების დროულობას) ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაციას, საბიუჯეტო პროცესში ცენტრალური ადმინისტრაციისა და დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულების ვალდებულებების გამიჯვნასა და ბიუჯეტის შესრულებას.

ადმინისტრაციული ხარჯების მონიტორინგი გაძლიერდება როგორც კანონიერების, ისე ეფექტიანობის მიმართულებით. შესწავლილი იქნება სამართლებრივ ნორმებთან შრომის ანაზღაურების, პრემიების, დანამატებისა და სხვა გასაცემლების გაცემის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონთან საქონლისა და მომსახურების შესყიდვების და, საერთოდ, უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობა სხვადასხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ გაწეული ხარჯების პროცენტულ შესრულებას, არამედ აუცილებელია, შეფასდეს ხარჯების ეფექტიანობა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, მაქსიმალურად სრულყოფილად დაიგეგმოს მომავალი წლის ბიუჯეტი და მინიმუმამდე შემცირდეს არამიზნობრივი, უყაირათო ხარჯების ოდენობა. ბიუჯეტის დაგეგმვისას შემდეგი პრიორიტეტებია განსაზღვრული:

- პროგრამული აკრედიტაციისა და ავტორიზაციისათვის საჭირო აქტივობები;
- ინოვაციური სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო ინფრასტრუქტურის შექმნა;
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანამდებობრივი მოქნილი სახელფასო ბადის შექმნა;
- სტუდენტების ჩართულობით განხორციელებული, შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაფინანსება;
- სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- შედეგებზე ორიენტირებული მენეჯმენტის განხორციელებით ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის ოპტიმიზაცია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთვის მზადება.

— გასულ წელს გაწეულ მუშაობას რომ გადავხედოთ, რომელ დეპარტამენტს გამოარჩევდით?

— ძნელია ვისაუბრო ამა თუ იმ დეპარტამენტის მიერ გასულ წელს მიღწეულ წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე, რადგან ჩემს საქმიანობას ამ სასწავლო წლის დასაწყისში შევუდექი. მოდით, ამ საკითხზე დეტალურად მომავალ წელს ამ დროს, ადმინისტრაციის საქმიანობის ანგარიშის წარმოდგენით გიპასუხებთ. ერთი კი მინდა გითხრათ, რომ ადმინისტრაციის მიერ დაიწყო რამდენიმე პროექტის განხორციელება. ამ პროექტებს შორის გამოვყოფ: კვების ობიექტების გახსნას, სააუდიტორიო რესურსის ელექტრონული სისტემის და შესყიდვების შიდა მოხმარების ელექტრონული სისტემის, ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვას. ასევე დღის წესრიგში დგას სტუდენტებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება, მათ შორის, სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული რესურს-ცენტრის მოწყობა, სტუდენტური ბარათის შექმნა, სტუდენტური პროექტებისა და ღონისძიებების დაფინანსების გამჭვირვალე, ობიექტური წესის შემოღება, რაც მომავალი საბიუჯეტო წლიდან ამოქმედდება.

— თქვენი აზრით, რომელი ახალი ამბავი იყო გასული წლის მოვლენა?

— საქართველოსათვის 2016 წლის მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია „საუკუნის წარმატება“ — ქართველი ხალხისთვის ლევილის მამულის დაბრუნება, „ქართული ანბანის სამი სახეობის“ იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეტანა და იუნესკოს მიერ მცხეთის ისტორიული ძეგლების (სვეტიცხოველი, ჯვარი, სამთავრო) კაცობრიობისთვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე კულტურულ მემკვიდრეობად აღიარება.

გასული წელი უნივერსიტეტისთვისაც ბევრ მნიშვნელოვან მოვლენას მოიცავდა. უნივერსიტეტი ქვეყნის აღმშენებლობითი პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მან ამ მიმართულებითაც ფლაგმანის როლი უნდა შეასრულოს. მთავარი გამოწვევები, რომლებიც დღეს ქვეყნის წინაშე დგას, უნივერსიტეტის მხრიდანაც გარკვეულ მოქმედებას მოითხოვს. განათლების სისტემის რეფორმირება და, განათლების ხარისხის ამაღლება — ეს ის ამოცანებია, რომლებიც ჩვენი უნივერსიტეტის წინაშე დგება და, შესაბამისად, ახალმა გუნდმა, რომელიც უნივერსიტეტის სივრცეში მოვიდა, უნივერსიტეტის განვითარების ახალი კონცეფცია უნდა შესთავაზოს საზოგადოებას.

— როგორ მოულოცავთ ახალ 2017 წელს უნივერსიტეტს?

— უნივერსიტეტი — ეს უნივერსიტეტელებია — სტუდენტები, პროფესორები, ადმინისტრაცია, ჩვენი კურსდამთავრებულები და, ზოგადად, საზოგადოება, რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქვეყნის სიმბოლოც არის. ბევრი ჩვენგანისთვის ის ისევე ძვირფასია, როგორც სამშობლო, სახლი, ოჯახი... მაგრამ უნივერსიტეტი დიდი პასუხისმგებლობაც არის — უნდა შეძლო და მის წინაშე პირნათლად მოიხადო შენი ვალი — სტუდენტმა კარგად ისწავლოს, პროფესორმა კარგად ასწავლოს, ადმინისტრაციამ კარგად იმუშაოს...

ჩვენს „დედა უნივერსიტეტს“ ვუსურვებ მსოფლიო საუნივერსიტეტო საზოგადოების ღირსეულ წევრობას!

ჩვენს დედა სამშობლოს კი ვუსურვებ მშვიდობას, სიძლიერეს, ქვეყნის მთლიანობის აღდგენასა და ერის კეთილდღეობას!

მოამზადა მაია ტორაძემ

ნორჩ ჰუმანიტართა სკოლის მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა

დაჩი დათუაშვილი რუსთავის კერძო სკოლა „მილენიუმის” მოსწავლეა. ხატვა მისი ჰობია, თუმცა, ფიქრობს, რომ შესაძლოა ეს მის მეორე პროფესიადაც იქცეს. ამის სერიოზული მიზეზიც აქვს: მის მიერ კომპიუტერში, პლანშეტის საშუალებით შექმნილი ანიმაციური პერსონაჟები უკვე პოპულარულები გახდნენ თანატოლებში.

თბილისის 31-ე საჯარო სკოლის მოსწავლეს ბაია ლეკვეიშვილს პორტრეტების ხატვა უყვარს. ნაცნობების გარდა ისტორიულ პერსონაჟებსაც ხატავს. მისი ბოლო ნამუშევარი ჰენრი VI-ის პორტრეტია, რომელიც, თავისი წარმოდგენით, წიგნის წაკითხვის შემდეგ შექმნა.

ნორჩი მხატვრები: ელენე და გიორგი ბერაიები, სოფიო ხუციშვილი, ბაქარ სიურგალი, ბაია და ნინო ლეკიაშვილები, სალომე ელბაქიძე, მარიამ ქობულაშვილი, მარიამ სიფრაშვილი, მარიამ ქვარცხავა, ეკატერინე მაგრაქველიძე, ბარბარე ზარიძე, იოანე და ალექსანდრე ზარიძეები, საბა ხაჭაპურიძე, დაჩი დათუაშვილი, ნინო წიკლაური, იმედა აფციაური, თამარ ნოზაძე, ლაშა არჯევანიძე, თამარ ვარადაშვილი თსუ-ის საბავშვო უნივერსიტეტის ნორჩ ჰუმანიტართა სკოლის მოსწავლეები არიან, მათი ეს განსხვავებული ნიჭი და უნარი ამავე სკოლის კოორდინატორმა თამთა გოგუაძემ შენიშნა და თსუ-ის მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზში 15 დეკემბერს, წინასაახალწლო დღეებში, მათთვის გამოფენა მოაწყო.

„მიუხედავად იმისა, რომ ხატვა არ შედის ნორჩ ჰუმანიტართა სკოლის ლექციების ცხრილში, ჩვენ მაინც გამოვავლინეთ ისინი და სიურპრიზი გავუკეთეთ. ინტელექტუალური განვითარების გარდა, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ცდილობს ნორჩ ჰუმანიტართა სკოლაში მოსწავლეთა შემოქმედებითი აქტივობა წაახალისოს. 2016 წლის შემოდგომის სემესტრში მოსწავლეებს საშუალება მიეცათ — თავად დაემზადებინათ თექის ნიმუშები ქალბატონი თამარ წეროძის ხელმძღვანელობით. ვორკშოპში შექმნილი ნიმუშები წარმოდგენილი იყო გამოფენაზე. 2016 წლის სამხატვრო გამოფენა პირველი მცდელობა იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ჩართვისა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრებაში — აღნიშნა თამარ გოგუაძემ თსუ-ის ნორჩ ჰუმანიტართა სკოლის მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენაზე, სადაც თბილისისა და რუსთავის სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთა მიერ შექმნილი ფერწერული, გრაფიკული, მხატვრული ფოტოგრაფიის, მცირე პლასტიკის, გამოყენებითი ხელოვნებისა და კომპიუტერული გრაფიკის ნიმუშები გამოიფინა.

გამოფენის გახსნაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ნანა გაფრინდაშვილი, საბავშვო უნივერსიტეტის ხელმძღვანელი მარინა ლომოური, არქეოლოგი, პროფესორი ვახტანგ ლიჩელი, მხატვარი ანტონ ბალანჩივაძე, რუსთავის №6 და №7 საშუალო სკოლების პედაგოგი ვაჟა ქარუხნიშვილი, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი ქეთევან ხუციშვილი და თსუ-ის ნორჩ ჰუმანიტართა სკოლის კოორდინატორი თამარ გოგუაძე. გამომსვლელებმა მოსწავლეებს მიულოცეს გამოფენაში მონაწილეობა და წარმატება უსურვეს მომავალ შემოქმედებით კარიერასა და ინტელექტუალურ განვითარებაში. წინა საშობაო განწყობის შესაქმნელად, ტრადიციული მუსიკალური ფონის თანხლებით, უნივერსიტეტი მოსწავლეებსა და სტუმრებს საახალწლო ტკბილეულით გაუმასპინძლდა.

შურთხია ბეროშვილი

2016 წლის მოვლენა და ადამიანი ფაკულტეტებზე

პირველი გვერდიდან

ნაციონალიზაცია და ევროპეიზაცია, როგორც პრობლემა და ამოცანა“, რომელიც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის გიორგი თუმანიშვილის ინიციატივით განხორციელდა.

2016 წელს ფოლკსვაგენის ფონდმა დააკმაყოფილა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის გიორგი თუმანიშვილისა და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის ედვარდ შრამის ერთობლივი საგრანტო განაცხადი და 250 000 ევროს ოდენობის დაფინანსება გამოყო მეორე გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტის განსახორციელებლად.

პროექტის — „ქართული სისხლის სამართლის პროცესის ინტერნაციონალიზაცია და ევროპეიზაცია, როგორც პრობლემა და ამოცანა“ — ხანგრძლივობაა 3 წელი და მისი ძირითადი მიზანია საერთაშორისო და ევროპული სისხლის სამართლის პროცესის სფეროში მოღვაწე ქართველი ახალგაზრდა მკვლევრების მხარდაჭერა. პროექტში თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების გარდა ჩართულია იენის, ბერლინისა და ტუბინგენის უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტების პროფესურა. პროექტის ფარგლებში, ამ ეტაპზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან უკვე გაიცა 3 წლიანი სადოქტორო სტიპენდია 2 საუკეთესო განმცხადებელზე. დაგეგმილია, ასევე, სტიპენდიის გაცემა 4 ქართველი დოქტორანტის გერმანულ უნივერსიტეტებში კვლევითი საქმიანობისთვის (ნახევარი წლით).

პროექტის ფარგლებში 2017-2018 წლებში სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის შესახებ მოეწყობა საზაფხულო სკოლა ბათუმში, რომელიც მიზნად ისახავს ქართველი სტუდენტების ცოდნის ამაღლებას. გარდა ამისა, შემუშავდება ინტერნაციონალიზირებულ (ქართულ) სისხლის სამართლის პროცესში ფუნდამენტური კრებული, როგორც ქართველი სამართალმცოდნეებისა და პროექტში მონაწილე გერმანელი სისხლის სამართლის მეცნიერების ერთობლივი შრომის შედეგი. კრებულის შემუშავება დაგეგმილია 2019 წლის გაზაფხულ-ზაფხულში. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია, ასევე, არაერთი საერთაშორისო კონფერენციის გამართვა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. „

მეცნიერული კვლევების შედეგებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება

თეიმურაზ ბერიძე,
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი:

— ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2016 წლის ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებად (სამეცნიერო კვლევების წარდგენის, აზრთა გაზიარებისა და სამომავლო ერთობლივი სამეცნიერო მუშაობის დაგეგმვის კუთხით) დასახელდა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, რომელიც 11-12 ნოემბერს გაიმართა. კონფერენციის მიზანი იყო ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში ჩატარებული მეცნიერული კვლევების შედეგებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება. კონფერენცია საკმაოდ მასშტაბური და შედეგიანი აღმოჩნდა. მასში მონაწილეობდა 130-მდე ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტი, მათ შორის 10-მდე სხვადასხვა ქვეყნისა და უნივერსიტეტის წარმომადგენელი გერმანიიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, ჩეხეთიდან, რუმინეთიდან, ლატვიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

რეზო გოგოხია

კონფერენციის მთავარი მიზანი — მომხდარიყო ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში ჩატარებული მეცნიერული კვლევების შედეგებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება, წარმატებით შედგა.

რაც შეეხება წლის „ადამიანს“, ფაკულტეტი ამ პოზიციაზე განიხილავს პროფესორ რეზო გოგოხიას, რომელმაც 2016 წელს საკმაოდ დიდი მოცულობის სამეცნიერო პუბლიკაციების რედაქტირება განახორციელა (როგორც საკონფერენციო მასალების, ასევე ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესში“ წარდგენილი პუბლიკაციების) და თავისი სამეცნიერო აქტივობით ძალიან ბევრ მეცნიერსა და ახალგაზრდა დამწყებ მეცნიერს გაუწია დახმარება.

ალექსანდრე ცისკარიძის წიგნი სულ ახლახან გამოაქვეყნა კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობამ

დიმიტრი კორძაია,
თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში:

— გასული წლიდან ფაკულტეტზე ბევრი საინტერესო, საუნივერსიტეტო ცხოვრებისთვის საჭირო და აუცილებელი პროექტის განხორციელება დაიწყო, რაც, ცხადია, ფაკულტეტის საქმიანობაზეც აისახა. მათ შორის გამოვყოფდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანს: სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სამედიცინო ფორუმის (SEEMF) VII საერთაშორისო სამედიცინო კონგრესს, რომელიც 7-10 სექტემბერს ქ. ბათუმში გაიმართა. კონგრესს საქართველოს ექიმთა ასოციაციამ და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა 15 ქვეყნის 200-მდე დელეგატი, საქართველოს სამედიცინო და აკადემიური საზოგადოების გამოჩენილი წარმომადგენლები, ასევე, უცხოეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეები.

თსუ-ის პროფესურამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კონგრესის წარმატებულ მუშაობაში. პროფესორი გ. ლობჟანიძე იყო კონგრესის თანათავმჯდომარე, ხოლო პროფესორი დ. კორძაია — კონგრესის სამეცნიერო საბჭოს თანათავმჯდომარე; აკადემიკოსი ფ. თოდუა ხელმძღვანელობდა პლენარულ სხდომას, პროფესორები: ა. ცისკარიძე, მ. კილაძე და რ. გაგუა ხელმძღვანელობდნენ ნევროლოგიის, ქირურგიისა და ონკოლოგიის სამეცნიერო სექციებს. კონგრესის მდივანი იყო თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, თსუ-ის დოქტორანტი ზ. ხაჭიპერაძე.

კონგრესზე თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტმა ჩაატარა სატელიტური კონფერენცია „ინოვაციები ფუნდამენტურ მედიცინაში“, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ პროფესორები: ზ. ცაგარელი და რ. ქარსელაძე.

პირველად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სამედიცინო ფორუმის კონგრესების ისტორიაში, თსუ-ის ინიციატივით გაიმართა სამეცნიერო სესია სტუდენტების, რეზიდენტებისა და დოქტორანტებისთვის, სადაც თსუ-ის სტუდენტებთან ერთად მოხსენებებით წარსდგნენ სტუდენტები ბელორუსიიდან და ბულგარეთიდან.

როცა ფაკულტეტის წლის ადამიანზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად მიმაჩნია თსუ-ის სამედიცინო ფაკულტეტის დეკანის, ნევროლოგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსანდრე ცისკარიძე და მის მიერ დაწერილი წიგნი, რომელიც სულ ახლახან გამოაქვეყნა კემბრიჯის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის გამომცემლობამ. ეს არის პირველი პრეცედენტი ქართული სამედიცინო საზოგადოების ისტორიაში, როცა კემბრიჯის უნივერსიტეტი ქართველი მეცნიერის წიგნს გამოსცემს, რაც უდავოდ დიდი წარმატებაა.

ალექსანდრე ცისკარიძე

წიგნი თანამედროვე კლინიკური მედიცინის ერთერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს — ინსულტის თემას ეხება და მასში საუბარია ინსულტის სპეციფიკური და აქტუალური ასპექტების შესახებ.

წიგნს ორი თანაავტორი ჰყავს, ესენი არიან ლუნდისა (შვედეთი) და მინესოტას (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორები. პროექტის განხორციელებას 3 წელზე მეტი დასჭირდა. წიგნის პრეზენტაცია ჯერ არ ყოფილა, მისი პრეზენტაცია საქართველოში ახლო მომავალში იგეგმება. ბატონი ალექსანდრე კიდევ რამდენიმე მსგავს პროექტზე მუშაობს.

კიდევ ორი ახალი საგანმანათლებლო პროგრამა

ნანა გაფრინდაშვილი,
პროფესორი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— 2016 წელი საინტერესო და მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი იყო ჩვენი ფაკულტეტისთვის, რომლის სპეციფიკას, მიმზიდველობას, სიძლიერესა და უნიკალურობას ბევრი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისი პროგრამების მრავალფეროვნებაა.

2016 წელს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს კიდევ ორი ახალი დაემატა: სკანდინავისტიკის სამაგისტრო პროგრამა (ხელ-ლი: პროფ. კახაბერ ლორია) და ბიბლიოთეკარის მოდულური პროფესიული პროგრამა (ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი).

ფაკულტეტმა მრავალი საინტერესო ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, კონგრესი თუ სიმპოზიუმი გამართა. მათ შორის უნდა დავასახელოთ „ანთიმოზ ივერიელი და ევროპული განმანათლებლობა: ტექსტები და კონტექსტები“, ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის მე-17 საერთაშორისო კონგრესი, „მულტილინგვური განათლება – გამოწვევები და პერსპექტივები“, „ინოვაციის იდეა და ფორმები ბერძნულ კულტურაში (ანტიკურობა, შუა საუკუნეები, თანამედროვეობა)“, „შექსპირი 400“, „ეთნოკულტურული ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესები მულტიკულტურულ საქართველოში“, მე-7 საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი, „საფრთხეში მყოფი ენები“, „ევროპული ღირებულებები და იდენტობა: ევროპეიზაციის მრავალი განზომილება“, „შორეული აღმოსავლეთი: ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და ახალი გამოწვევები“, „ხელოვანი და საზოგადოება“, კავკასიოლოგთა საერთაშორისო კონგრესი „დამწერლობები კავკასიაში“ და სხვ.

ფაკულტეტი, ბუნებრივი და ლოგიკურია, სიღრმისეულად აცნობიერებს ქართველოლოგიის როლსა და მნიშვნელობას, რომლის დარგები ხანგრძლივი დროის განმავლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჰუმანიტარული აზროვნების ისტორიაში.

ქართველოლოგიური დარგების განვითარებას, წმინდა მეცნიერულთან ერთად, დიდი ეროვნული მნიშვნელობაც აქვს. ფაკულტეტი განუხრელად ზრუნავს ქართველოლოგიის ინტერნაციონალიზაციის, მისი განვითარებისა და პოპულარიზებისათვის. ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების, უნიკალური ქართული ენის, კულტურის, ხელოვნების პოპულარიზების მიზნით ფაკულტეტის პროფესორები სისტემატურად კითხულობენ მოხსენებებს უცხოეთის საგანმანათლებლო კერებში, ბეჭდავენ სტატიებს უცხოურ გამოცემებში, მსოფლიოს რამდენიმე უნივერსიტეტში (ლაიდენის, ტარტუს, ვილნიუსის უნივერსიტეტებში), ქართველოლოგიით დაინტერესებულ ახალგაზრდებს ასწავლიან ქართულ ენას, ლიტერატურას, არქეოლოგიას. წარმატებით მუშაობს ქართველოლოგიური სკოლა, რომელიც ყოველწლიურად მრავალ უცხოელს მასპინძლობს და აზიარებს

მე-4 გვერდზე

სიმპოზიუმი ქართველოლოგიაში

2016 წლის მოვლენა და ადამიანი ფაკულტეტებზე

მესამე გვერდიდან

ქართულ კულტურას. ისიც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი პროფესორები და დოქტორანტები მრავალი ადგილობრივი თუ საერთაშორისო საგრანტო კონკურსების გამარჯვებულები არიან, რაც ასევე მნიშვნელოვანია მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოდის სამეცნიერო ჟურნალები, რომელთა ერთი ნაწილი საერთაშორისო რეფერირებადია და იმედი გვაქვს, ისინი, განსაკუთრებით კი ელექტრონული ჟურნალები, დიდ სამსახურს გაუწევს ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებების შემდგომ განვითარებასა და სამეცნიერო დონის ამაღლებას, დააჩქარებს უახლესი სამეცნიერო ინფორმაციის პუბლიკაციასა და სამეცნიერო წრებრუნვაში ჩართვას, გაამარტივებს მასში დაბეჭდილი ინფორმაციისა და საარქივო მასალების მოპოვებას, აამაღლებს ავტორების პერსონალური ციტირების ინდექსის მაჩვენებელს, თვითიზოლაციისა და საინფორმაციო ვაკუუმის თავიდან აცილების მიზნით შექმნის მდიდარ საინფორმაციო ბაზას, რომელშიც წარმოაჩენს სხვადასხვა სამეცნიერო სკოლის მიღწევებს.

ფაკულტეტმა მუშაობა განახლებულ და გარემონტებულ კორპუსში დაიწყო

თამარ გაგოშიძე,
თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— 2016 წელი მნიშვნელოვანი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის.

ახალი სასწავლო წლიდან ფაკულტეტმა მუშაობა განახლებულ და გარემონტებულ კორპუსში დაიწყო. თსუ-ის III კორპუსში შეიქმნა სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მუშაობისთვის საჭირო გარემო, რომელიც ხელს უწყობს როგორც ადმინისტრაციის, ისე ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეპარტამენტების სათანადო და სრულფასოვან ფუნქციონირებას.

ფაკულტეტის შენობის ყველა აუდიტორია აღიჭურვა პროექტორით, განახლდა რესურს-ცენტრის ინვენტარი, ფაკულტეტზე გაიხსნა სასწავლო-ექსპერიმენტული ლაბორატორიები. მიმდინარე წელს ფაკულტეტმა შეიძინა კომპიუტერული პროგრამა ექსპერიმენტული ფსიქოლოგიისთვის, რომელიც სასწავლო პროცესში დაინერგა და სტუდენტებს საშუალება მიეცათ შეესწავლათ ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების ჩატარება და შედეგების დამუშავება.

2016 წელს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ახალი სასწავლო პროგრამები დაინერგა. კერძოდ, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში მიღება მოხდა ახალ პროგრამებზე — მასწავლებლის 60 კრედიტიან სასწავლო პროგრამაზე, ასევე საბავშვო ბაღის აღმზრდელის მოსამზადებელ პროფესიულ პროგრამაზე.

განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტმა მოამზადა გერმანულ მხარესთან ერთობლივი სადოქტორო პროგრამის საპროექტო წინადადება განათლების მეცნიერებების მიმართულებით, რომელიც ფოლკსვაგენის ფონდის საგრანტო კონკურსში იქნება წარდგენილი.

2016 წელს ფსიქოლოგიის და განათლების დეპარტამენტებში განხორციელდა 8 მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი გრანტის პროექტი და პერმანენტულად ტარდებოდა საფაკულტეტო კოლოკვიუმები, ასევე თემატური განხილვები ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის, დოქტორანტების და მაგისტრების მონაწილეობით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფაკულტეტის 4 პროფესორი და 1 დოქტორანტი მონაწილეობს „ერაზმუს+“-ის მიერ დაფინანსებულ პროექტში — სამოქალაქო განათლების განვითარება საქართველოსა და ისრაელში.

ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები მონაწილეობდნენ როგორც ფაკულტეტის ორგანიზებით, ასევე სხვა ორგანიზაციების მიერ გამართულ სამეცნიერო კონფერენციებში. ამგვარად, გასული წელი წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ფაკულტეტისთვის.

წელს ჩვენი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 5-მა სტუდენტმა გამოაქვეყნა შრომები საერთაშორისო იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში

რამაზ ხომერიკი,
თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანი:

— ჩვენი ფაკულტეტის ცხოვრება დატვირთული იყო სასიამოვნო მოვლენებით სამეცნიერო თუ სასწავლო მიმართულებით. სამეცნიერო კუთხით წარმატების მაგალითად საერთაშორისო ჟურნალებში ჩვენი აკადემიური პერსონალის 90-მდე იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაცია და 70-ზე მეტი მოპოვებული ადგილობრივი თუ

თამარ მენთეშაშვილი

საერთაშორისო გრანტიც კმარა; ამასთან ერთად ჩატარდა საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია 254 მომხსენებლით და სტუდენტური საფაკულტეტო კონფერენცია 161 მონაწილეთი, ასევე ჩვენმა მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმა 20-ზე მეტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი მოიპოვეს. სასწავლო მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენს ფაკულტეტზე სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების განხორციელება, რომლებზეც წელს 2-ჯერ უფრო მეტი სტუდენტი ჩაირიცხა, ვიდრე წინა წელს. ამასთან ერთად, წელს სან დიეგოს უნივერსიტეტის ხელშეწყობით დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს ABET აკრედიტაციის პროცესი ჩვენთან უკვე არსებული ქართულენოვანი პროგრამებისთვის. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით, წელს ჩატარდა მეცნიერების თასი და ოლიმპიადა მათემატიკაში, სადაც მონაწილეობა მიიღო 260 გუნდმა საქართველოს და თბილისის საჯარო და კერძო სკოლებიდან.

წლის ყველაზე ნათელ და შთამბეჭდავ მოვლენად, ალბათ, მივიჩნევ პირველსემესტრელთა პირველ დღეს უნივერსიტეტში. წელს პირველად შევხვდი სტუდენტებს სწავლის დაწყების წინ. შეხვედრა ფაკულტეტის ყველა დეპარტამენტში გაიმართა და ამ შეხვედრებს დეპარტამენტის პროფესორებიც ესწრებოდნენ. გასაგები უხერხულობის მიუხედავად, ძალიან თბილი შეხვედრები იყო, მკაფიოდ იგრძნობოდა მათი თხოვნა თუ მოთხოვნა, რომ უნივერსიტეტში სწავლის წლები გამორჩეული ყოფილიყო მათ ცხოვრებაში ყველა მიმართულებით. მათი ეს ახალგაზრდული მაქსიმალიზმია სწორედ ჩვენი ფაკულტეტის მთელი პერსონალის მთავარი მოტივატორი. ამ მხრივ განსაკუთრებით გვახარებს კურსდამთავრებულების ცოდნის და ტალანტის აღიარება საზღვარგარეთის წამყვანი უნივერსიტეტების მიერ – ბევრი წლევანდელი კურსდამთავრებული აგრძელებს სწავლას მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში მათ მიერ მოპოვებული უცხოური სტიპენდიებისა თუ გრანტების საშუალებით. მეტიც, წელს ჩვენი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 5-მა სტუდენტმა გამოაქვეყნა შრომები საერთაშორისო იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში.

ფაკულტეტზე წლის მთავარ ადამიანად დავასახელებ ორს: თამარ მენთეშაშვილს, რომელიც ეროვნული გამოცდების ყველაზე მაღალი ქულებით მოხვდა ჩვენს ფაკულტეტზე (სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების პროგრამა) და დამამთავრებელი კურსის ყველაზე საუკეთესო აკადემიური მოსწრების სტუდენტს ირაკლი ჯოხაძეს (ფიზიკის საბაკალავრო პროგრამა). ისინი მართლაც რომ გამორჩეულნი არიან და მინდა, მრავალი წარმატება ვუსურვო მათ.

გარემონტებული თსუ-ის III კორპუსი

ჟურნალი, რომელიც ფაკულტეტის სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობას უწყობს ხელს

თამარ დოლბაია,
თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— მრავალ საინტერესო პროექტს შორის, რომელიც წელს ფაკულტეტზე განხორციელდა, შეგვიძლია დავასახელოთ სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალი — „ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი“, რომელიც ჯერ კიდევ 2015 წელს დაფუძნდა და მისი მიზანია ხელი შეუწყოს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობას. სწორედ ამ ჟურნალის მეშვეობით ჩვენი ფაკულტეტის დოქტორანტებს საშუალება ეძლევათ — თავიანთი ნაშრომები ფართო სამეცნიერო აკადემიურ საზოგადოებას გააცნონ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალის ბაზაზე 2016 წლის 22-26 ივლისს გაიმართა „ახალგაზრდა მკვლევართა საზაფხულო სკოლა დოქტორანტებისთვის”, რომლის მთავარი მიზანი იყო გაეუმჯობესებინა დოქტორანტთა უნარ-ჩვევები სწავლების, კვლევისა და გამოქვეყნების მიმართულებით. პროგრამაში მონაწილეობდა 20 დოქტორანტი, როგორც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან, ისე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და საქართველოს უნივერსიტეტებიდან. საზაფხულო სკოლის ფარგლებში დოქტორანტებმა გაიღრმავეს ცოდნა ისეთ საკითხებში, როგორიცაა — კვლევის დიზაინი, სტატიის დიზაინი და სტრუქტურა, სტატიის გამოქვეყნება, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და სხვა. სკოლის მუშაობა სტუდენტებისთვის ნაყოფიერი აღმოჩნდა.

უნდა აღინიშნოს, რომ „ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალმა“ იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია სტუდენტებს შორის, რომ 2016 წლის სექტემბრიდან დაიწყო მუშაობა ბაკალავრიატის სტუდენტთათვისაც ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის შექმნის მიმართულებით. ჟურნალის სახელწოდებაა „სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში“. მნიშვნელოვანია, რომ მასში დასაბეჭდად შემოსული სტატიები გაივლის შიდარეცენზირებას ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრების მიერ, რომლებიც ჩვენი ფაკულტეტის პროფესორებითაა დაკომპლექტებული. წლის განმავლობაში იგეგმება ორი ნომრის გამოშვება. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ახალგაზრდა თაობის კვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბებას და იმედი გვაქვს, ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო სივრცის გაუმჯობესებას.

რაც შეეხება ფაკულტეტის „წლის ადამიანის“ დასახელებას, გამოვარჩევ ღვაწლმოსილ პროფესორს, ქალბატონ ნათელა დონაძეს, რომელმაც თაობების აღზრდაში დიდი წვლილი შეიტანა.

მე-6 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობა უკვე დაკომპლექტებულია

თსუ-ის მე-6 მოწვევის თვითმმართველობა უკვე დაკომპლექტებულია. გაწერილია როგორც საგანმანათლებლო, კულტურული, ასევე, სპორტული ღონისძიებები, რომლებიც მიმდინარე სემესტრის ბოლომდე გაიმართება. რაც შეეხება სტრუქტურულ ცვლილებებს, სტუდენტურ თვითმმართველობაში ორი ახალი დეპარტამენტი ამოქმედდა — საგარეო საქმეთა და სტუდენტთა უფლებების დაცვის. ახალი ფუნქციებით დაიტვირთა სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოც. როგორც სტუდენტურ თვითმმართველობაში ამბობენ, მათი მუშაობის პრიორიტეტები განათლება, სტუდენტთა თანასწორობა და პროგრესია. შესაბამისად, ემხრობიან სტუდენტური პროექტების დაფინანსების ახალ წესს, რომელიც, თსუ-ის რექტორის ინიციატივით, ახალი წლიდან ამოქმედდება. სიახლეების შესახებ დეტალურად მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი შოთა კეჟერაშვილი *გვესაუბრა.*

— თსუ-ის მე-6 მოწვევის თვითმმართველობაში რა სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა?

— ნებისმიერი სტრუქტურა საჭიროებს განვითარებას და ეს ეხება სტუდენტურ თვითმმართველობასაც. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ახალი მოწვევის თვითმმართველობა იყოს ბევრად ორგანიზებული, გამჭვირვალე და თანასწორობის პრინციპებს დაფუძნებული. მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბახვა კვირიკაშვილი სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი იყო და შევცვალეთ საფაკულტეტო საბჭოებში სტუდენტთა არჩევის წესი. მომავალში დაგეგმილი გვაქვს ცვლილებები, რომელიც სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქციონირებას გაამარტივებს, სტუდენტებს საშუალება მიეცემათ, რომ პროექტებზე თანასწორი წვდომა ჰქონდეთ (ვგულისხმობ როგორც აღმასრულებელ, ასევე ფინანსურ მხარეს) და სტუდენტურ ცხოვრებაში უფრო აქტიურად ჩაერთონ. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს აქამდეც ჰქონდათ სხვადასხვა აქტივობებში ჩართვისა და ფინანსურ რესურსებზე წვდომის საშუალება, კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ ამ მხარეს. მნიშვნელოვანია, რომ ორი ახალი — სტუდენტთა უფლებების დაცვისა და საგარეო საქმეთა დეპარტამენტები იწყებენ მუშაობას. ვაპირებთ სერიოზული პროპაგანდის დაწყებას, რომ სტუდენტებმა როგორც საკუთარი, ასევე თანაკურსელების უფლებების დაცვას ყურადღება მიაქციონ. საგარეო დეპარტამენტი ორი მიმართულებით იმუშავებს — გარედან მოვიძიებთ ფინანსებს, გრანტებს და ქვეყნის შიგნით თუ საზღვარგარეთ არსებულ უმაღლეს სასწავლებლებთან კონტაქტებს დავამყარებთ.

— სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობაში უკვე ფუნქციონირებდა. მას სტუდენტები მიმართავდნენ, თუმცა ამას ინტენსიური ხასიათი არ მიუღია. რას ფიქრობთ, რით იქნება განპირობებული, ამჯერად, ამ დეპარტამენტის წარმატებული მუშაობა?

— როდესაც ვამბობთ, რომ იქნება ახალი დეპარტამენტი, ეს ნიშნავს მისი სტრუქტურის განახლებასაც. ჩვენ არ დაველოდებით — როდის მოგვმართავენ სტუდენტები. დეპარტამენტის წევრები თავად მივლენ მათთან. ჩატარდება საგანმანათლებლო პროექტები, ტრენინგები სტუდენტთა უფლებების დაცვის თემებზე.

— თქვენ ხელმძღვანელობთ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს. რა ფუნქციები გაკისრიათ?

— მრჩეველთა საბჭოში თითოეული ფაკულტეტის საბჭოდან თითო წარმომადგენელი შედის. ჩვენი ფუნქციებია საფაკულტეტო თვითმმართველობებს შორის კავშირის გაღრმავება, ინფორმაციის გაცვლა, სტუდენტების პრობლემების მოძიება და მათი გადაჭრა. ჩვენ ადმინისტრაციულ ბიუროკრატიასთან გამკლავების გამოცდილება გვაქვს და სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეგვიძლია. პრობლემები საკმაოდ ბევრია, განსაკუთრებით საგამოცდო პერიოდში, სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით, გარკვეული ბარიერები ექმნებათ სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისას და ა.შ. ყველა ეს პრობლემა მრჩეველთა საბჭოში განიხილება და შესაბამისი რეაგირება მოხდება.

— ვინ არიან მე-6 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის წევრები? ასევე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა, რომლებიც საფაკულტეტო საბჭოს წევრები გახდნენ, სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ლეგიტიმურობაში ეჭვი შეიტანეს (საარჩევნო უბნების ბლოკირების გამო). შეუდგნენ თუ არა ისინი მოვალეობის შესრულებას?

— ეს სტუდენტები სტუდენტური თვითმმართველობის ნაწილს წარმოადგენენ და მათ მონაწილეობა მიიღეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არჩევნებში. ინტენსიურად არიან ჩართულები სამუშაო პროცესში. რაც შეეხება შემადგენლობას, პრეზიდენტი გახლავთ ბახვა კვირიკაშვილი, ვიცე პრეზიდენტები — ირაკლი მურღულია, გიორგი ოქიტაშვილი, სალომე თოფურია; პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე — მე, შოთა კეჟერაშვილი. პრეზიდენტის აპარატი (საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის) ხელმძღვანელია ნანი გრიგალაშვილი. საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი — გიორგი სარალიძე, სტუდენტების უფლებათა დაცვის დეპარტამენტის — ანი გომელაური, განათლების დეპარტამენტის — მარიამ ეგნატაშვილი, კულტურის დეპარტამენტის — მარიამ კაკალაძე, სპორტის დეპარტამენტის — ტარიელ გაგელიძე, ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი — თემო ქობალია. რაც შეეხება ფაკულტეტებზე სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარეებს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის გახლავთ ალექსანდრე ყუბანეიშვილი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის — ბექა ბექაური, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის — პავლე ჯაგუნავა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის — რეზო ჯაჭვლიანი, იურიდიული ფაკულტეტის — სანდრო სიდამონიძე, მედიცინის ფაკულტეტის — თამუნა ჩხეიძე, ტურიზმის სკოლის — ვაჟა გახარია, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კი თამუნა ბუაჩიძე.

ნატო ოგოლაძე

თვითმმართველობის სტრუქტურის ფორმირებაზე პარლამენტის კომიტეტთან მუშაობა გრძელდება

მე-6 მოწვევის თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა მუშაობას შეუდგა. „აუდიტორია 115“ თსუ-ის VI კორპუსის პიკეტს ისევ განაგრძობს. პარალელურად, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტთან ორივე სტუდენტური ჯგუფი თანამშრომლობს. მათ კომიტეტს უკვე გადასცეს პასუხები 5 ბლოკისგან შემდგარ კითხვარზე — შეისწავლეს საზღვარგარეთის უნივერსიტეტების გამოცდილება და წარადგინეს საკუთარი მოსაზრებები თუ არგუმენტები უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტური წარმომადგენლობის ფორმის ცვლილების თაობაზე. დოკუმენტების ზუსტი შინაარსი კომიტეტთან მომდევნო შეხვედრისას გასაჯაროვდება.

„აუდიტორია 115“-ის პოზიცია უცვლელია. სტუდენტები სტუდენტური თვითმმართველობების გაუქმებას ისევ ითხოვენ და ე.წ. „კლუბების სისტემის“ დანერგვას უჭერენ მხარს. მოძრაობაში აცხადებენ, რომ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტთან ერთად კანონპროექტზე ერთობლივი მუშაობის მიუხედავად, უნდობლობის ფაქტორი მაინც არსებობს, ამიტომ თსუ-ის მე-6 კორპუსს მხოლოდ მაშინ გაათავისუფლებენ, როდესაც მათი მოთხოვნები დაკმაყოფილდება და კანონში ცვლილებები საკანონმდებლო ორგანოში ოფიციალურად დარეგისტრირდება.

„ჩვენ კომიტეტის მიერ გადმოცემულ კითხვარზე პასუხები უკვე გადავგზავნეთ. შევისწავლეთ საერთაშორისო მაგალითები, რაზეც ხელი მიგვიწვდებოდა — ესაა პოლონეთის, ლიტვის და ა.შ. გამოცდილება. დოკუმენტში ავსახეთ, რომელი ქვეყნის მაგალითია ჩვენთვის მისაღები და რატომ. 21-ე დღეა, რაც VI კორპუსი დავიკავეთ და აქამდეც არაერთხელ გავაჟღერეთ, თუ რატომ უნდა გაუქმდეს სტუდენტური თვითმმართველობა. გარდა იმისა, რომ ფინანსურ რესურსზე ყველა სტუდენტს თანაბარი წვდომა უნდა ჰქონდეს და წარდგენილი სტუდენტური პროექტები ობიექტურად უნდა განიხილებოდეს, აუცილებელია ,,უმაღლესი განათლების შესახებ” კანონში ცვლილებები: 45-ე მუხლის გაუქმება, რომელიც უშუალოდ სტუდენტურ თვითმმართველობას ეხება; 27-ე მუხლში ცვლილება, სადაც საფაკულტეტო საბჭოებში არჩევის წესია გაწერილი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასაც და საარჩევნო კოდექსის 43 მუხლსაც, რადგან იქ აღნიშნულია – საფაკულტეტო საბჭოებში სტუდენტები პირდაპირი წესით უნდა აირჩეოდნენ. ამ მუხლით, ასევე, დაუშვებელია ერთი საარჩევნო ხმით სტუდენტების ორ სტრუქტურაში — სტუდენტურ თვითმმართველობასა და საფაკულტეტო საბჭოში არჩევა“, — განაცხადა „აუდიტორია 115“-ის წევრმა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა ნუცა ბასილაშვილმა.

პარალელურად, საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილება შეისწავლა თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ. სტუდენტურ წარმომადგენლობაში აცხადებენ, რომ არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციაში მითითებული არ არის, თუ როგორ უნდა ფუნქციონირებდეს სტუდენტური თვითმმართველობა, ეს ,,უმაღლესი განათლების შესახებ” კანონშია განსაზღვრული, დეტალები კი უმაღლესი სასწავლებლების შიდა წესდებაშია გაწერილი, მათ შორის საფაკულტეტო საბჭოებში სტუდენტების არჩევის წესიც. მათი ინფორმაციით, ერთადერთი ქვეყანა, სადაც კონსტიტუცია არეგულირებს ამ საკითხებს, მალაიზიაა.

„მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ საპარლამენტო კომიტეტისთვის წარგვედგინა ისეთი სტრუქტურა, რომელიც იქნება მოქნილი, სტუდენტთა თანასწორობის პრინციპზე ორიენტირებული. რაც შეეხება ფინანსურ რესურსზე თანაბარ წვდომას, მომავალი წლიდან, რექტორის ინიციატივით, ამოქმედდება ახალი წესი, შედეგად არავითარი პრივილეგირებული ჯგუფი არ იარსებებს. დაფინანსდება ის სტუდენტური პროექტები, რომლებიც ხარისხიანი და შედეგის მომტანი იქნება. სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურის გაუქმების შესაძლებლობას გამოვრიცხავ, რადგან ჩვენი საქმიანობა უნივერსიტეტისთვის სასარგებლო და მომგებიანია, არავითარ საფრთხეს არ შეიცავს“, — აღნიშნა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ შოთა კეჟერაშვილმა.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა საფაკულტეტო საბჭოებში სტუდენტთა არჩევის მოქმედი წესის ცვლილების წინააღმდეგია. თვითმმართველობის სტუდენტები მიიჩნევენ, რომ მოქმედი კანონი დემოკრატიულია და ის ფაქტი, რომ არჩევნების შედეგად ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტებს თვითმმართველობის დელეგატის სტატუსიც ეძლევათ, მათ დამატებით შესაძლებლობას უქმნის, რომ სტუდენტების უფლებებსა და ინტერესებზე იზრუნონ.

„აუდიტორია 115-“ისა და თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი სადისკუსიოდ სამუშაო ფორმატში 5 დეკემბერს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი გიორგი კაპანაძეც. მისი განცხადებით, სტუდენტს, რომელიც არ არის თვითმმართველობის წევრი, ეზღუდება უფლება — გახდეს საფაკულტეტო საბჭოს წევრი და მასზე მოქმედებს ე.წ. ირიბი იძულების მექანიზმი — გაერთიანდეს სტუდენტურ თვითმმართველობაში. „იმედი გვაქვს, რომ სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ნაყოფიერი იქნება ამ კუთხით“, — აღნიშნა სახალხო დამცველის წარმომადგენელმა.

კომიტეტის წევრებმა მზადყოფნა გამოთქვეს საკითხის შესასწავლად და ,,უმაღლესი განათლების შესახებ” კანონში ისეთი ცვლილებების განსახორციელებლად, რომლებიც არგუმენტირებული და, ზოგადად, სტუდენტების ინტერესებზე იქნება მორგებული, რადგან კანონი როგორც თსუ-ზე, ასევე საქართველოში არსებულ ყველა უმაღლეს სასწავლებელზე თანაბრად ვრცელდება.

„დღევანდელი შეხვედრის მნიშვნელოვანი მიზანი მიღწეულია, დიალოგი კონსტრუქციულ რეჟიმში გადავიტანეთ. თავიდანვე დავაფიქსირე ჩემი პოზიცია, რომ ვეთანხმები სტუდენტთა თანაბარ უფლებას, როგორც საფაკულტეტო საბჭოებში არჩევის წესთან, ასევე ფინანსურ რესურსებზე თანაბარ წვდომასთან დაკავშირებით. ასევე, აუცილებელია, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივა ეფუძნებოდეს არგუმენტირებულ დეტალურ ანალიზს და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებას. 12 კითხვა, რომელიც 5 ბლოკად არის ჩამოყალიბებული, დასამუშავებლად გადავეცით სტუდენტების ორივეს მხარეს. ვფიქრობ, რომ ეს არის ერთობლივი მსჯელობის გზა, რომელიც მიგვიყვანს ოპტიმალურ გადაწყვეტილებამდე. ანუ, დღეისთვის ვმსჯელობთ ორი მიმართულებით — საფაკულტეტო საბჭოებში არჩევის წესის დახვეწისა და ფინანსურ რესურსზე თანაბარი წვდომის შესაძლებლობებზე“, — განაცხადა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა.

ნატო ოგოლაძე



ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი 70

ვულოცავთ მორფოლოგიის ინსტიტუტს 70 წლისთავს

გიორგი კვესიტაძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი:

— 70 წლისთავს განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავ მორფოლოგიის ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს და ვუსურვებ დიდ ბედნიერებასა და წინსვლას.

ჰავიერ პადილო,
სევილიის საუნივერსიტეტო კლინიკის ქირურგიისა და ტრანსპლანტაციის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი:

— მინდა მივულოცო მორფოლოგიის ინსტიტუტის ყველა წევრს — სტუდენტებს, დოქტორებს, პროფესორებს, იმ ადამიანებს, რომლებიც ამ მნიშვნელოვან ინსტიტუტში მუშაობენ. ჩვენს ინსტიტუტებს განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებთ, ხოლო იუბილე კი კარგი შესაძლებლობაა ახალი კონტაქტების დასამყარებლად და ჩვენი ურთიერთობების გასამტკიცებლად.

იუკიო იამორი,
მუკოგავას ქალთა უნივერსიტეტის მსოფლიო ჯანდაცვის განვითარების ინსტიტუტის დირექტორი, კარდიოვასკულური დაავადებების პრევენციის ჯანმოს კოლაბორაციული ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი:

— ვულოცავ მორფოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებს 70 წლის იუბილეს. ჩემთვის დიდი პატივია ინსტიტუტის დამფუძნებლის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ნინო ჯავახიშვილის სახელობის პირველი მედლის მიღება. ვფიქრობ, ეს პატივი პროფესორ სიმონ დალაქიშვილთან ერთად უნდა გავინაწილო. სწორედ მასთან თანამშრომლობით გახდა შესაძლებელი მსოფლიო ეპიდემიოლოგიური კვლევების ჩატარება და კვების დიეტის კავშირის დადგენა ქვეყნების მოსახლეობის ჯანმრთელობასა და დღეგრძელობასთან. ჩვენმა კვლევამ, რომელიც საქართველოს გარდა მსოფლიოს სხვა 60 პოპულაციაში განხორციელდა, ნათლად გამოკვეთა დღეგრძელობისათვის მნიშვნელოვანი დიეტური ფაქტორები.

ვლადიმერ ოვჩაროვი,
მორფოლოგი, ნევროლოგი, ბულგარეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი:

— ჩვენს ქვეყანაში — ბულგარეთში საკმაოდ ცნობილია აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის სახელი, რომელიც დაახლოებით 5 ათწლეულის მანძილზე იყო ამ ინსტიტუტის დირექტორი. ამ ინსტიტუტში მოღვაწე მეცნიერების ნამდვილი წარმატება იყო ის, რომ მათ შეიმუშავეს და იყენებდნენ ხელოვნურ სისხლძარღვებს. ეს საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია და წარმოადგენს ბევრი კანადური და ამერიკული ცნობილი და მსოფლიო მასშტაბის ინსტიტუტის ამოცანას, რადგან სისხლძარღვების ათეროსკლეროზული ან მექანიკური დაზიანების შემთხვევაში შესაძლებელი გახდა მათი ხელოვნური იმპლანტებით ჩანაცვლება. ზემოთ აღნიშნული ამ ქართული ინსტიტუტის ჭეშმარიტი წარმატება იყო.

ლექსიკოგრაფიული მუშაობა მორფოლოგიის ინსტიტუტში

ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტში ლექსიკოგრაფიული მუშაობა მისი დაარსებიდან მომდინარეობდა. მორფოლოგიის ინსტიტუტმა გამოსცა ლექსიკონი „ანატომიური, ჰისტოლოგიური და ემბრიოლოგიური ტერმინოლოგია" — მ. კორძაიას, მ ჭიჭინაძისა და ლ. შელიას ავტორობით. წიგნი 1997 წელს დაიბეჭდა და 8.500 ტერმინს შეიცავს. 2009 წელს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. მამფორიამ გამოაქვეყნა „საერთაშორისო ანატომიური ნომენკლატურა" 4 ენაზე (ქართულ, რუსულ, ლათინურ და ინგლისურ ენებზე). მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. აბაშიძემ შეადგინა და გამოსცა „სამედიცინო განმარტებითი ლექსიკონი". ბიოლოგიის დოქტორის მ. კორძაიას რედაქტორობით და ბიოლოგიის დოქტორის თ. ლორთქიფანიძის თარგმანით 2016 წელს ვოლფგანგ დოუბერის „ადამიანის ანატომიის ჯიბის დასურათებული ლექსიკონი" გამოიცა, რომელსაც დართული აქვს 907 ილუსტრაცია. პროექტის ხელმძღვანელი იყო ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტის ღეროვანი უჯრედების კვლევის ცენტრის დირექტორი, თსუ-ის მოწვეული პროფესორი ზაალ კოკაია.

ზოგადად, ქართული მორფოლოგიური ტერმინოლოგიის ფუძემდებელი აკადემიკოსი ალექსანდრე ნათიშვილია. მან 1919-1929 წლებში გამოაქვეყნა ლათინურ-ქართული ტერმინოლოგია ცალკეული სისტემების მიხედვით: 1919 წელს – კუნთები, 1920 წელს – ძვლები, 1921 წელს – შინეულობა. 1930 წელს კი მთლიანად ანატომიური ტერმინოლოგია ქართულ-რუსულ-ლათინურ ენებზე გამოსცა. მისივე ავტორობით დაიბეჭდა ჰისტოლოგიური და ემბრიოლოგიური ტერმინოლოგიის ლექსიკონი. ალექსანდრე ნათიშვილი გახლავთ, ასევე, შინაურ ცხოველთა და ფრინველთა ანატომიურ ტერმინთა ორენოვანი (ქართული და რუსული) ლექსიკონის შემდგენელი (1935 წელი). მან დაამუშავა და გამოაქვეყნა მიმიკისა და პლასტიკისთვის საჭირო ტერმინოლოგია ასევე რუსულ და ქართულ ენებზე.

ანატომიური ტერმინოლოგიის მიმართულებით წარმატებით მუშაობდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ლეონარდო შელია. მან 1976 წელს შეადგინა „საერთაშორისო ანატომიური ტერმინოლოგია" ლათინურ, ქართულ და რუსულ ენებზე. 1979 წელს გამოაქვეყნა „ანატომიურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი", 1989 წელს კი ავთანდილ გუნიასთან ერთად — „დასურათებული ანატომიური ტერმინოლოგია", სადაც ნახატები ავთანდილ გუნიას მიერ არის შესრულებული.

1979 წელს ბიოლოგიის დოქტორმა მზია კორძაიამ გამოაქვეყნა „საერთაშორისო ემბრიოლოგიური ნომენკლატურა". მანვე მედიცინის დოქტორ მ. ჭიჭინაძესთან ერთად შეადგინა „ემბრიოლოგიურ ტერმინთა მოკლე განმარტებითი ლექსიკონი", რომელიც 1986 წელს დაიბეჭდა.

საკანონმდებლო პაკეტი და საქართველოში პალიატიური მზრუნველობის ეროვნული პროგრამის დაფუძნება



მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიისა და პალიატიური მედიცინის დეპარტამენტისა და პალიატიური მზრუნველობის საქართველოს ეროვნული ასოციაციის მიერ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის საფუძველზეც საქართველოს პარლამენტმა 2007 წელს 4 კანონში შეიტანა ცვლილებები და საფუძველი დაუდო საქართველოში პალიატიური მზრუნველობის ეროვნული პროგრამის იმპლემენტაციას. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი მომზადდა. ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" მიერ დაფინანსებულ პროექტს დიმიტრი კორძაია და სიმონ დალაქიშვილი ხელმძღვანელობდნენ.

პალიატიური მზრუნველობა – აქტიური მრავალპროფილური მზრუნველობაა, რომლის უპირველესი ამოცანაა ტკივილისა და სხვა პათოლოგიური სიმპტომების მოხსნა, ავადმყოფთა სოციალური, ფსიქოლოგიური და სულიერი მხარდაჭერა. იგი ვრცელდება იმ ავადმყოფებზე, რომელთა დაავადება მკურნალობას აღარ ექვემდებარება; პალიატიური მზრუნველობა ერთადერთი გზაა ასეთი ავადმყოფებისა და მათი ოჯახების ცხოვრების უკეთესი ხარისხის მიღწევისთვის.

ქვეყნის მოსახლეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით, შეიძლება დაიყოს 3 ძირითად ჯგუფად: ჯანმრთელებად, პოტენციურად განკურნებად ავადმყოფებად და ქრონიკულ, ინკურაბელურ ავადმყოფებად. ქვეყნის ჯანდაცვის სისტემასაც შესაბამისად უნდა გააჩნდეს 3 ძირითადი მიმართულება: პრევენციული მიმართულება, რომლის მიზანია დაავადებათა თავიდან აცილება; სამკურნალო მიმართულება, რომლის მიზანია ავადმყოფის გამოჯანმრთელება და რეაბილიტაცია;

პალიატიური მიმართულების მიზანია პაციენტის სიცოცხლის ხარისხის მაქსიმალურად შესაძლებელი დონის უზრუნველყოფა.

ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა სრულყოფილად ვერ ჩაითვლება, თუ მას რომელიმე მათგანი არ გააჩნია, რადგან, ასეთ შემთხვევაში, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სამედიცინო მომსახურეობის გარეშე რჩება.

უკანასკნელი 5 წლის მანძილზე მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიისა და პალიატიური მედიცინის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია 20-მდე ნაშრომი პალიატიურ მედიცინაში, მათ შორის, 6 სტატია იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში. 2016 წელს მომზადდა ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა „პალიატიურ მზრუნველობაში", რომელიც უახლოეს პერიოდში იქნება წარდგენილი აკრედიტაციისთვის. ასევე, მზადდება პალიატიური მზრუნველობის სახელმძღვანელოს (სტუდენტებისა და ექიმებისათვის) განახლებული ვერსია.



ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი 70

ისტორია და თანამედროვეობა

მორფოლოგიის ინსტუტუტში ყალიბდება სამეცნიერო კვლევითი ბაზა, რომლის ანალოგი საქართველოში ძნელად შეიძლება მოიძებნოს და რომელსაც უნარი შესწევს მოემსახუროს მრავალ მკვლევარს, მონაწილეობა მიიღოს ვრცელი სპექტრის ექსპერიმენტულ კვლევებში, დაავადებათა მოდელირებაში, სამკურნალო მეთოდების შემუშავებაში.

წელს მორფოლოგიის ინსტიტუტი 70 წლის იუბილეს აღნიშნავს. საზეიმო თარიღს მიეძღვნა ბათუმში გამართული სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ექიმთა ფორუმის მე-7 საერთაშორისო კონგრესი და სამეცნიერო კონფერენცია გერონტოლოგიაში. საიუბილეო ღონისძიებათა ციკლი 21 დეკემბერს საზეიმო შეხვედრით სრულდება, რომელიც თსუ-ის პირველ კორპუსში გაიმართება.

ისტორიული რაკურსით

თანამედროვე მეცნიერული მორფოლოგიის განვითარება სათავეს იღებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და სამედიცინო ფაკულტეტის ჩამოყალიბების დღიდან.

მორფოლოგია ბიო-სამედიცინო მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის ორგანიზმების, ორგანოების, ქსოვილების, უჯრედების, ორგანოიდების და ა.შ. ფორმასა და აგებულებას. მორფოლოგიური მეცნიერებებია: ანატომია, ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია და სხვ.

როდესაც ახალდაარსებულ ქართულ უნივერსიტეტში დადგა საკითხი საექიმო ფაკულტეტის გახსნისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას, რომელიც გრიგოლ მუხაძის ინიციატივითა და ასევე სპირიდონ ვირსალაძის, ივანე თიკანაძისა და მიხეილ წინამძღვრიშვილის მონაწილეობით გასწია 1915 წელს საქართველოში შექმნილმა ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებამ.

1919 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს გამოეყო საექიმო ფაკულტეტი, რომლის დეკანად პროფესორი ალექსანდრე ნათიშვილი აირჩიეს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში ალ. ნათიშვილის ინიციატივით, 1946 წლის 1 აპრილს დაარსდა მორფოლოგიის დარგში დიდი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი – ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორადაც იგი დაინიშნა.

ინსტიტუტი თავდაპირველად მდებარეობდა უზნაძის ქ. №51-ში, ხოლო 1973 წ. ინსტიტუტისთვის ახალი შენობა აშენდა ჭიაურელის №2-ში.

ინსტიტუტი მორფოლოგიის დარგში მომუშავე პირველი სამეცნიერო დაწესებულება იყო, რომლის დაარსებითაც შეიქმნა სათანადოდ აღჭურვილი ძლიერი კვლევითი ბაზა, სადაც შესაძლებელი გახდა თანამედროვე დონეზე გამოკვლევების ჩატარება და, რაც მთავარია, ექსპერიმენტული მეთოდის ფართო დანერგვით თეორიული დისციპლინის – მორფოლოგიის – პრაქტიკულ მედიცინასთან მჭიდროდ დაკავშირება.

თავდაპირველად ინსტიტუტში 18 საშტატო ერთეული იყო, აქედან 11 მეცნიერ-თანამშრომელი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა დაამტკიცა.



ალექსანდრე ნათიშვილი

ესენი იყვნენ: დირექტორი: აკადემიკოსი ალექსანდრე ნათიშვილი; სწავლული მდივანი: პროფესორი არტაშეს მალაევი; უფროსი მეცნიერ თანამშრომელი: ნინო ჯავახიშვილი; უმცროსი მეცნიერ თანამშრომლები: მალხაზ აბდუშელიშვილი, ვლადიმერ აბაშიძე, ქეთევან ჭიჭინაძე, ვლადიმერ ასათიანი და უფროსი ლაბორანტი: ეთერ არზიანი.

დაარსების დღიდან ინსტიტუტში არსებობდა ორი განყოფილება: ექსპერიმენტული ანატომიის (გამგე: პროფესორი მემედ კომახიძე) და ექსპერიმენტული ჰისტოლოგიის (გამგე: პროფესორი ალექსანდრე ლეჟავა).

1948 წ. შეიქმნა ანთროპოლოგიის კაბინეტი, რომელიც შემდგომ განყოფილებად გადაკეთდა (გამგე: აკადემიკოსი მალხაზ აბდუშელიშვილი). ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს პირველ შემადგენლობაში შედიოდნენ: თავმჯდომარე, აკადემიკოსი ალექსანდრე ნათიშვილი; თავმჯდომარის მოადგილე: აკადემიკოსი ვლადიმერ ჟღენტი; საბჭოს წევრები: პროფესორები: ნიკოლოზ დემეტრაძე, დიმიტრი გედევანიშვილი, მემედ კომახიძე, ნინო ჯავახიშვილი, ალექსანდრე ლეჟავა, მიხეილ ტატიშვილი; სწავლული მდივანი: ჯერ არტაშეს მალაევი, შემდგომ წლებში კი მიხეილ ტატიშვილი; თენგიზ ახმეტელი; თინათინ ბურჯანაძე; მარინე ჭიჭინაძე; ირინე გაჩეჩილაძე.

ალექსანდრე ნათიშვილმა დაამკვიდრა ტრანსლაციური ექსპერიმენტული კვლევები ქართულ სამედიცინო მეცნიერებაში. აღსანიშნავია მის მიერ კლინიკურ და ექსპერიმენტულ მასალაზე შესწავლილი წვრილი ნაწლავის ვასკულარიზაციის თავისებურებები: ტექნიკურად დამუშავდა წვრილი ნაწლავის ერთმომენტიანი გადანერგვა მსხვილ ნაწლავში, გადანერგილი სეგმენტის სისხლძარღვთა ღეროს საკმარისობის წინასწარი განსაზღვრით.

1959 წლიდან, აკადემიკოს ალექსანდრე ნათიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისი სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი, რომელიც მას ნახევარი საუკუნის მანძილზე ხელმძღვანელობდა – 2005 წლამდე დირექტორის, ხოლო 2012 წლამდე (გარდაცვალებამდე) საპატიო დირექტორის სტატუსით. 2005-2012 წლებში ინსტიტუტის დირექტორი იყო პროფესორი დიმიტრი კორძაია, ხოლო 2013-2014 წლებში – მედიცინის დოქტორი მანანა კაკაბაძე. 2015 წლიდან ინსტიტუტს ხელმძღვანელობს პროფესორი სიმონ დალაქიშვილი.

წლების მანძილზე იზრდებოდა ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალი და ტექნიკური აღჭურვილობა. შესაბამისად, იხსნებოდა ახალი განყოფილებები.

მორფოლოგიის ინსტიტუტის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს გაიხსნა და ფუნქციონირებდა ექსპერიმენტული ანატომიის და ჰისტოლოგიის განყოფილება (აკადემიკოსი მ. კომახიძე, პროფესორები თ. ღიბრაძე, მ. მამფორია, ალ. ლეჟავა, გ. სამსონიძე); ანთროპოლოგიის კაბინეტი, შემდგომში განყოფილება (აკადემიკოსი მ. აბდუშელიშვილი); პათომორფოლოგიის განყოფილება (პროფესორი უ. გაბუნია); პათოჰისტოლოგიის და ონკომორფოლოგიის ლაბორატორია (პროფესორი უ. გაბუნია); განვითარების ბიოლოგიის (ბიოფიზიკის) განყოფილება (აკადემიკოსი გ. თუმანიშვილი); რეამინაციის პრობლემური ლაბორატორია (პროფესორი თ. ღიბრაძე, თ. კობიძე); ციტოლოგიის განყოფილება (პროფესორი ზ. ცაგარელი); აკადემიკოს მ. კომახიძის აკადემიური ჯგუფი; გერონტოლოგიის განყოფილება (პროფესორი ს. დალაქიშვილი), რომელშიც შედიოდა: გერონტოლოგიის ლაბორატორია, სოხუმში. ბიოქიმიური გენეტიკის ლაბორატორია (ნ. ლელაშვილი), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული გერონტოლოგიისა და გერიატრიის საკოორდინაციო საბჭო; ანდროლოგიის განყოფილება (პროფესორი ნ. ჭიჭინაძე), რომელშიც შედიოდა: ჰისტოლოგიის ლაბორატორია (ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი მ. კორძაია), ჰორმონების რადიონუკლეიდური მიკროანალიზისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ლაბორატორია (ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ც. სუმბაძე), ვირუსოლოგიის ლაბორატორია (პროფესორი ს. კუპრაძე), ინფექციური იმუნოლოგიის ლაბორატორია (პროფესორი ბ. კორსანტია); ალერგოლოგიის განყოფილება (პროფესორი გ. გურგენიძე); ინტერფერონის კვლევის ჯგუფი (პროფესორი ჯ. მერაბიშვილი); ბიოტექნოლოგიის განყოფილება (აკადემიკოსი ვლ. ბახუტაშვილი), რომელშიც შედიოდა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების სინთეზის ლაბორატორია (ლ. აკოფოვა), პლაცენტიდან მიღებული ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების სტანდარტიზაციის ლაბორატორია (ლ. კარტოზია), ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა იმუნოქიმიის ლაბორატირია (მ. ნანაზაშვილი), ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ბიოენერგეტიკის ლაბორატორია (ე. იმედიძე), გამოყენებითი მოლეკულური ვირუსოლოგიის ლაბორატორია (გ. რუხაძე), რადიოლოგიის ლაბორატორია (მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ნარსია); ბიომედიცინისა და იმუნოგენეზის განყოფილება (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ა. ბახუტაშვილი); კლინიკური იმუნოლოგიის უწყებათაშორისი ბიოტექნოლოგიური ცენტრი (პროფესორი ნ. დურმიშიძე); ელექტრონული მიკროსკოპიისა და ელექტრონული ავტორადიოგრაფიის ლაბორატორია (პროფესორი თ. ლომაია); ნაყოფის ფიზიოლოგიისა და „ინ ვიტრო" განაყოფიერების ლაბორატორია (ს. ნადირაშვილი); იმუნოჰისტიქიმიის ლაბორატორია (პროფესორი: ჯ. სილაგაძე) და სხვ.

დაფუძნდა ინსტიტუტის ბიბლიოთეკა (ნ. ერისთავი, ქ. ნაკაშიძე, ლ. ივანოვა, გ. ყიფიანი), რომელიც 30000-მდე ქართულ და უცხოურ ერთეულს მოიცავდა; ინსტიტუტის საოპერაციო ბლოკი (ქ. წიკლაური) აღჭურვილი იყო სპეციალური აპარატურით უნიკალური ექსპერიმენტების ჩასატარებლად; ინსტიტუტში ფუნქციონირებდა ფოტოლაბორატორია (გ. სარქისოვი) და ვივარიუმი (ა. კარიონოვა, ზ. ბუკია).

ინსტიტუტში არსებული 7 განყოფილების და ბიოტექნოლოგიური ცენტრის ბაზაზე შეიქმნა და 1991 წელს დამოუკიდებელ ინსტიტუტად გამოიყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო ბიოტექნიკის ინსტიტუტი, რომლის პირველი დირექტორი გახლდათ აკადემიკოსი ვ. ბახუტაშვილი.

ნინო ჯავახიშვილი საოპერაციოში

დღეისათვის ინსტიტუტში ფუნქციონირებს: კლინიკური და ექსპერიმენტული პათოლოგიის დეპარტამენტი (პროფესორი ლ. გოგიაშვილი), რომლის შემადგენლობაშიც შედის ციტოლოგიის ლაბორატორია (პროფესორი ზ. ცაგარელი) და პათოლოგიის ლაბორატორია (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი თ. ღვამიჩავა); ტრანსლაციური ბიო-მედიცინის დეპარტამენტი (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნ. გორდაძე), რომლის შემადგენლობაშიც შედის მოლეკულური ბიოლოგიის და გენეტიკის ლაბორატორია (მედიცინის დოქტორი ნ. გოიშვილი) და ანდროლოგიის ლაბორატორია (ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ც. სუმბაძე); კლინიკური ანატომიის დეპარტამენტი (მედიცინის დოქტორი მ. ჯანგავაძე); გერონტოლოგიისა და პალიატიური მედიცინის დეპარტამენტი (მედიცინის დოქტორი ნ. ბაკურაძე).

ინსტიტუტის დირექტორია პროფესორი სიმონ დალაქიშვილი, ხოლო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე — პროფესორი ლიანა გოგიაშვილი.

ინსტიტუტში შექმნილია კლინიკური პათოლოგიის დიაგნოსტიკური ცენტრი, რომლის ფარგლებშიც 6 სერტიფიცირებული კლინიკური პათოლოგი აწარმოებს ჰისტოპათოლოგიურ დიაგნოსტიკას.

მხოლოდ სტრუქტურათა ჩამონათვალიც კი აშკარად მიუთითებს იმ სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების მასშტაბზე, რომელიც ამ ინსტიტუტში მიმდინარეობდა და მიმდინარეობს.

მიღებული იქნა შედეგები, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა სისხლძარღვთა აღდგენითი ქირურგიის შემდგომ განვითარებაში მსოფლიო მასშტაბით

ინსტიტუტში მნიშვნელოვანი პრიორიტეტია გულ-სისხლძარღვთა სისტემის კვლევა ნორმისა და პათოლოგიის პირობებში. ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე შემუშავებულია გულსა და სისხლძარღვებზე ზოგიერთი ოპერაციული ჩარევის მოდელი. გულის ინფარქტის, ჟანგბადის უკმარისობისა და გულის მანკის დროს გამოცდილი და შეფასებულია ახალი თანამედროვე სისხლძარღვთა გამაფართოებელი მედიკამენტების (ტრენტალი, კორდალონი, პერსანტინი, პანანგინი, რეკორდილი. რიბოფლავინი) მოქმედება, გამოკვლეულია სისხლძარღვთა ორგანო – და ქსოვილსპეციფიური თავისებურებანი, მათი გარდაქმნა ინდივიდური განვითარების პერიოდში და ზოგიერთი პათოლოგიის დროს, მიკროცირკულაციის რეგულაციის ადგილობრივი მექანიზმები გულის კუნთის სისხლით მომარაგება უკუდინებით სინუსოიდების ხარჯზე. უჯრედისა და სუბუ-

მე-8 გვერდზე

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი 70

ისტორია და თანამედროვეობა

ნინო ჯავახიშვილი

მეშვიდე გვერდიდან

ჯრედულ დონეზე შესწავლილია უჯრედშორისი ურთიერთობანი და მათი მნიშვნელობა აღდგენითი პროცესების შესაფასებლად სისხლის მიმოქცევის დარღვევის პირობებში და მისი კორექციის შემდეგ.

ინსტიტუტის გამოკვლევების მთელი ციკლი ეხება საჭმლის მომნელებელი სისტემის ანატომიური ნაწილების, მათი სისხლძარღვების, ნერვების, ჰისტოსტრუქტურის, ინდივიდუალური განვითარების, ასაკობრივი და სქესობრივი თავისებურებების, ასევე გულმკერდისა და მუცლის ღრუს ორგანოების ფორმისა და მდებარეობის შესწავლას.

ინსტიტუტში ჩატარებული კვლევებით მიღებულია ონკოლოგიური პრაქტიკისთვის ფრიად მნიშვნელოვანი ისეთი მონაცემები, როგორიცაა: ავთვისებიანად ქცევის ადრეული ნიშნების განსაზღვრა, სიმსივნის სხვადასხვა შემადგენელი ქსოვილოვანი ელემენტების ცვლილებების მნიშვნელობის დადგენა როგორც სიმსივნის განვითარების ბიოლოგიის სწორად გაგებისათვის, ისე ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ეფექტის შეფასებისთვის.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, ექსპერიმენტებში შესწავლილია სისხლძარღვებში სხვადასხვა წარმოების და, შესაბამისად, სხვადასხვა ქიმიური და ფიზიკური თვისებების მქონე ხელოვნური შემცვლელების ჩანერგვაზე განვითარებული მორფოლოგიური რეაქციები და მათი გავლენა სისხლის შემდედებელ სისტემაზე; ექსპერიმენტების შედეგად დადგენილია ალოპლასტიკაზე საპასუხო რეაქციის სამი ეტაპი, ასევე ნაჩვენებია ხელოვნური სისხლძარღვის შიგნით განვითარებული გამონაფენის — ნეოინტიმის განსაკუთრებული თავისებურება, კერძოდ, მათში სისხლის კაპილარების განვითარება, რაც განასხვავებს ნეოინტიმას ბუნებრივი ინტიმისგან. ნაჩვენებია, რომ სწორედ აღნიშნული წარმოადგენს ხელოვნური სისხლძარღვის ე.წ. გვიანი თრომბირების ერთერთ მთავარ მიზეზს. 1963 წელს, ვაისბადენში, ანატომთა მე-7 საერთაშორისო კონგრესზე მოხსენებულმა ამ მონაცემებმა თავისი წვლილი შეიტანა სისხლძარღვთა აღდგენითი ქირურგიის შემდგომ განვითარებაში მსოფლიო მასშტაბით.

2005 წლამდე მორფოლოგიის ინსტიტუტი მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში იყო. 2006 წ. იგი გადაკეთდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და გადავიდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში. 2010 წელს ინსტიტუტი შეუერთდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, შესაბამისად განხორციელდა ინსტიტუტის განყოფილებების რეორგანიზაციაც.

თავისი არსებობის მანძილზე ინსტიტუტი გადაიქცა საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევით ცენტრად, რომლის კედლებშიც ქართველმა და უცხოელმა (და არა მარტო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან) მკვლევრებმა შეასრულეს 600-ზე მეტი საკვალიფიკაციო ნაშრომი.

ინსტიტუტში კარგ ტრადიციად იყო დამკვიდრებული სამკურნალო დაწესებულებების (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის, კლინიკური და ექსპერიმენტული თერაპიის ინსტიტუტის, კარდიოლოგიის ინსტიტუტის და სხვ.) თანამშრომლებთან ერთად გამსვლელი სამეცნიერო-პრაქტიკული სესიების ჩატარება საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. ამასთანავე, ინსტიტუტი სისტემატიურად იწვევდა ლოკალურ კონფერენციებს ამიერკავკასიის რესპუბლიკების (აზერბაიჯანი, საქართველო. სომხეთი) ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა მონაწილეობით. სისტემატურად ტარდებოდა საინსტიტუტო სამეცნიერო კონფერენციები სხვა რესპუბლიკების სპეციალისტების მონაწილეობით (100-ზე მეტი), რომლის მასალებიც გამოიცემოდა შრომათა კრებულების სახით. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი 1966 წ. თბილისში ექსპერიმენტალური მორფოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე ჩატარებულ ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა საკავშირო ყრილობას, რომელსაც დაესწრო 200-ზე მეტი დელეგატი 9 ქვეყნიდან.

ინსტიტუტი სისტემატურად აწყობდა თემატურ კონფერენციებს, რომლებიც ეძღვნებოდა გულ-სისხლძარღვთა სისტემის ექსპერიმენტული მორფოლოგიის საკითხებს (თბილისში და კიევში), მორფოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდებს თეორიულ და პრაქტიკულ ონკოლოგიაში, გულისა და სისხლის ძარღვების პათოლოგიის ულტრასტრუქტურულ საფუძვლებს, ანდროლოგიის აქტუალურ საკითხებს, გერონტოლოგიისა და გერიატრიის პრობლემებს, დაბერების ციტოგენეტიკას და დღეგრძელობის საკითხებს (თბილისში და ნიუ-ორკში).

მორფოლოგიის ინსტიტუტში აღზრდილი კადრები მოღვაწეობენ როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ისე უცხოეთში, ეწევიან პედაგოგიურ მოღვაწეობას, არჩეული არიან მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის წევრებად და მიღებული აქვთ სხვადასხვა სახის პრემიები.

ინსტიტუტის დამაარსებლები

ქართული მეცნიერული ანატომიური სკოლის ფუძემდებლისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დამაარსებლის — აკადემიკოს ალექსანდრე ნათიშვილის სახელს უკავშირდება საქართველოში იმ მეცნიერული საფუძვლების შექმნა, რომლის ნიადაგზეც წარმატებით ვითარდება მორფოლოგიის ყველა დარგი.

1919 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს გამოეყო საექიმო ფაკულტეტი, რომლის დეკანად აირჩიეს ალექსანდრე ნათიშვილი. სიცოცხლის ბოლომდე იგი ასევე ხელმძღვანელობდა ადამიანის ნორმალური ანატომიის კათედრას.

მიუხედავად მატერიალური და ტექნიკური სიძნელეებისა, ალ. ნათიშვილი შეუდგა ანატომიის კათედრის სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნის ორგანიზებას.

ალ. ნათიშვილმა, როგორც ანატომიის ღრმა მცოდნემ, სანიმუშოდ აამაღლა ანატომიის სწავლების დონე. მისი ბრწყინვალე ლექციები, ფაქტების გაშუქება ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ღრმა ცოდნით, საქართველოში მორფოლოგიური დისციპლინების განვითარების საფუძველი გახდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1920 წელს ალ. ნათიშვილის ხელმძღვანელობით დაარსდა ჰისტოლოგიისა და ემბრიოლოგიის კათედრა.

ალ. ნათიშვილის მიერ არის შექმნილი ანატომიის კათედრები საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებსაც შემდგომში მისი მოწაფეები ხელმძღვანელობდნენ. მისი თაოსნობით შეიქმნა ასევე პლასტიკური ანატომიის კათედრა სამხატვრო აკადემიაში (1924 წ.), შინაურ ცხოველთა ანატომიის კათედრა ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში (1932 წ.) და ანატომიის კათედრა ფიზკულტურის ინსტიტუტში.

1931 წელს ბავშვთა და მოზარდთა ჯანდაცვის ინსტიტუტში შეიქმნა ცენტრალური ანთროპოლოგიური ბიურო, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ პროფესორები: ალ. ნათიშვილი, ვ. ვარაზაშვილი და ალ. ჯავახიშვილი. 1932-1941 წ.წ. ალ. ნათიშვილი მუშაობდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა დაცვის ბიომეტრიული სექტორის გამგედ, ხოლო 1932 წ. ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტის ანთროპოლოგიურ კაბინეტს განაგებდა.

ალ. ნათიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა მოიცავს თანამედროვე ქართული მორფოლოგიის ყველა განშტოებას, ასევე, ქართული მორფოლოგიური ტერმინოლოგიის შექმნასა და განვითარებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში ალ. ნათიშვილის ინიციატივით, 1946 წლის 1 აპრილს დაარსდა მორფოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი – ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც თავად ჩაუდგა სათავეში.

1959 წელს ალ. ნათიშვილის გარდაცვალების შემდეგ ინსტიტუტს მისი სახელი მიენიჭა.

ალექსანდრე ნათიშვილი არის პირველი ქართული სახელმძღვანელოს ავტორი ანატომიაში, გამოქვეყნებული აქვს 80 სამეცნიერო შრომა, რომელთაგანაც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ნაშრომები ტვინის მორფოლოგიის, ადამიანის მსხვილ ნაწლავთა ანატომიის, საქართველოს მოზარდი თაობის ფიზიკური განვითარების და სხვა საკითხებზე.

მორფოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოში მორფოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწე, აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი თავისი მასწავლებლის — აკადემიკოს ალექსანდრე ნათიშვილის საქმის ღირსეული გამგრძელებელი გახლდათ. ნინო ჯავახიშვილი იყო პირველი ქალი, რომელსაც ანატომიის დარგში მიენიჭა პროფესორის წოდება. მან კიდევ უფრო გაზარდა და გააძლიერა ქართული ანატომიური სკოლა და იგი საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ნინო ჯავახიშვილი, აკადემიკოს ალ. ნათიშვილის მიწვევით იწყებს მუშაობას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ანატომიის კათედრაზე ჯერ ასისტენტად (1935-1946 წ.წ.), შემდგომ დოცენტად (1946-1949 წ.წ.). კათედრაზე მუშაობის პარალელურად 1936-1937 წლებში ნინო ჯავახიშვილი ლექციებს კითხულობდა თბილისის მეორე საფერშლო სკოლაში (ქირურგიის კურსს), 1941-1943 წლებში — თბილისის სამხატვრო აკადემიაში (პლასტიკური ანატომიის კურსს), ხოლო 1943-1945 წლებში — ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ნორმალური ანატომიის კურსს).

დიდია ქალბატონი ნინოს დამსახურება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ექსპერიმენტული მორფოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დაარსების საქმეში. მან მაშინვე იგრძნო ფუნქციური მორფოლოგიის შესწავლის, სხვადასხვა პათოლოგიების ექსპერიმენტული მოდელირების პირობებში სტრუქტურული გარდაქმნების დეტალური კვლევების აუცილებლობა. ასეთი მიდგომის ჭეშმარიტება შემდგომში მრავალჯერ დადასტურდა ნინო ჯავახიშვილისა და მისი მოწაფეების კვლევის შედეგების საერთაშორისო აღიარებით.

1946 წლიდან ქალბატონმა ნინომ გაიარა შემოქმედებითი მეცნიერული გზა ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლიდან დირექტორის მოადგილემდე, ხოლო 1959 წელს, აკადემიკოს ალექსანდრე ნათიშვილის გარდაცვალების შემდგომ, სათავეში ჩაუდგა უკვე საყვარელი მასწავლებლის სახელობის ინსტიტუტს და მისი უცვლელი დირექტორი იყო 2005 წლამდე, ხოლო 2005 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე — მისი საპატიო დირექტორი.

ნინო ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო საქართველოში გულსისხლძარღვთა და

მე-9 გვერდზე

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი 70

ისტორია და თანამედროვეობა

მერვე გვერდიდან

ნერვული სისტემის კვლევის ახალი ეტაპი, განხორციელდა ელქტრონულ-მიკროსკოპული და ხელოვნური სისხლის მიმოქცევის ტექნოლოგიების დამკვიდრება სამედიცინო ბიოლოგიურ კვლევებში, ანატომიური, ჰისტოლოგიური და ემბრიოლოგიური ლექსიკონებისა და ქართული ტერმინოლოგიების შექმნა და გამოცემა, მისი რედაქტორობით 6-ჯერ გამოიცა განახლებული და შევსებული ალექსანდრე ნათიშვილის „ადამიანის ნორმალური ანატომია“, რომელიც სამაგიდო წიგნია მრავალი თაობის მედიკოსი სტუდენტებისთვის.

განსაკუთრებული აღიარება ნინო ჯავახიშვილს სისხლის მილების კვლევამ მოუტანა. იგი ვირტუოზულად ფლობდა სისხლძარღვთა ქირურგიის ტექნიკას, რასაც წარმატებით იყენებდა არა მარტო ორგანოთა ტრანსლპანტაცია-რეპლანტაციის ურთულეს ინოვაციურ ექსპერიმენტებში, არამედ კლინიკაშიც, სადაც მეუღლესთან, აკადემიკოს მემედ კომახიძესთან ერთად, იმ დროისთვის, არაერთი უნიკალური ოპერაცია განახორციელა.

ქალბატონმა ნინო ჯავახიშვილმა პირველმა დაადგინა სისხლძარღვთა პროთეზების დათრომბვის კავშირი ამავე პროთეზში განვითარებული ნეოინტიმის მიკროცილკურციულ ქსელთან და ამ ქსელის მოდულის არქიტექტონიკის კავშირი პროთეზის ბოჭკოების განლაგების არქიტექტონიკასთან. კვლევის შედეგები, რომელიც გაჟღერდა საერთაშორისო კონგრესებზე და რომელსაც დღემდე არ გააჩნია ანალოგი, საფუძვლად დაედო „დაუთრომბავი“ პროთეზების შექმნას და, ამდენად, სისხლძარღვთა პლასტიკის შემდგომ განვითარებას.

1961 წელს ნინო ჯავახიშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1979 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1965 წელს მას მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი არჩეული იყო რუსეთის, გერმანიის, შვეიცარიის საერთაშორისო ჟურნალების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად. იყო ჟურნალ „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის“ მთავარი რედაქტორი, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს წევრი, მრავალი ქვეყნის ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრი.

ნინო ჯავახიშვილი 300-მდე სამეცნიერო ნაშრომის და 9 მონოგრაფიის ავტორია (43 ნაშრომი გამოქვეყნებულია უცხოეთში). მისი ხელმძღვანელობით დაცულია 47 დისერტაცია, მათ შორის 20 – სადოქტორო. ნინო ჯავახიშვილი, გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა, აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. მან 66 წლის წინ დააფუძნა საქართველოს ქალთა საბჭო.

ნინო ჯავახიშვილს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო — ღირსების ორდენი, ლენინის ორდენი, საპატიო ნიშნის ორდენი, მედალი მამაცური შრომისთვის დიდ სამამულო ომში 1943-1945 წ.წ., მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, არჩეულია „2003 წლის ქალად“ („Who Is Who“, IX ტომი) და ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მრჩევლად. ამერიკის ინსტიტუტის მიერვე 2005 წლის 25 ნოემბერს ნომინირებულია XXI საუკუნის დიდ მოაზროვნედ.

საერთაშორისო ურთიერთობები და სწორება „ჰორიზონ 2020“-ზე

მორფოლოგიის ინსტიტუტი მჭიდროდ თანამშრომლობდა აშშ კვლევით დაწესებულებებთან – ჰიუსტონის სამედიცინო ცენტრთან, კენტუკის, სიეტლის, კანზასის უნივერსიტეტებთან, ბალტიმორის გერონტოლოგიის

დიმიტრი კორძაია

ინსტიტუტთან, ასევე ნიუ-იორკის პიროვნების ინსტიტუტთან. წლების განმავლობაში სისტემატურად ტარდებოდა კონფერენციები თბილისში ან ნიუ-ორკში გერონტოლოგიის აქტუალურ საკითხებზე.

მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები მონაწილეობდნენ გერმანიის ვესტფალიის ვილჰელმის უნივერსიტეტის (მიუნხენი) და ჰენრიხ ჰაინეს უნივერსიტეტის (დიუსელდორფი) მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში.

მორფოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო მიმართულებათა შორის, უცხოელ პარტნიორებში დიდი ინტერესი გამოიწვია კვლევებმა, რომლებიც დაკავშირებულია ინსტიტუტში პროფესორების – ნოდარ ხოდელისა და ზურაბ ჩხაიძის მიერ შემუშავებულ ხელოვნურ ექსტრაკორპორულ საპერფუზიო სისტემებთან, კლინიკურ მედიცინაში მათი გამოყენების სავარაუდო ეფექტებთან და პერსპექტივებთან. აღნიშნულ მოწყობილობაზე გაცემულია 2 პატენტი. აპარატის გამოყენებით სამეცნიერო კვლევების შედეგები და ეფექტები დაფიქსირებულია მრავალ პუბლიკაციაში, მათ შორის საზღვარგარეთულ რეფერირებად წყაროებში

.

სევილიის უნივერსიტეტის ქირურგიისა და ტრანსპლანტაციის ცენტრის ხელმძღვანელი, ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ღვიძლის ტრანსპანტოლოგი, პროფესორი ჯავიერ პადილო უკვე 3 წელია თანამშრომლობს თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტთან. ქართველ კოლეგებთან ერთად იგი რამდენიმე სამეცნიერო პროექტში მონაწილეობს. ერთ-ერთი მათგანი ითვალისწინებს ზემოაღნიშნული ექსტრაკორპორული სისხლის მიმოქცევის აპარატის განვითარებას. ამ აპარატის საშუალებით უკვე ჩატარდა ექსპერიმენტები ე.წ. სტენდურ და ცხოველურ მოდელებზე.

სხვა პროექტი გულისხმობს ამ აპარატის გამოყენებას იმ პაციენტებში, რომლებსაც გული საავადმყოფოს გარეთ გაუჩერდათ. აღნიშნულ კვლევაში ჩართულია ევროპის 4 ქვეყნის სამეცნიერო ცენტრები. პროექტი წარდგენილია „ჰორიზონ 2020“-ის გრანტის მოსაპოვებლად.

2005 წელს ქართველ მეცნიერთა დელეგაცია იაპონიაში იმყოფებოდა, სადაც გერონტოლოგიური პროფილის ერთობლივი კვლევების შედეგები განიხილეს. იაპონიის ნატურალური მედიცინის ასოციაცია და იზუმოის უნივერსიტეტი (ტოკიო) დაინტერესებულნი არიან ქართველი მეცნიერების კვლევებითა და აღმოჩენებით.

მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიის დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობდა ასევე რომის გერიატრიულ კლინიკასთან, სლოვაკეთის, რუსეთის, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიების ინსტიტუტებთან

საერთაშორისო თანამშრომლობის უახლესი მაგალითია 2016 წლის სექტემბერში, ბათუმში გამართული სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ექიმთა ფორუმის VII საერთაშორისო კონგრესი, სადაც ერთ-ერთი მასპინძელი თსუ-იც იყო. ამ კონგრესზე მორფოლოგიის ინსტიტუტმა ორგანიზება გაუკეთა სატელიტურ კონფერენციას, სადაც ქართველი მეცნიერები უცხოელ კოლეგებს ახალი კვლევების მიმდინარეობასა და შედეგებს უზიარებდნენ.

ინსტიტუტის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში, ამასთანავე, არა მხოლოდ როგორც მომხსენებლები, არამედ, როგორც ორგანიზატორებიც (საბერძნეთი, სლოვენია და სხვ.).

2015 წლიდან საერთაშორისო თანამშრომლობაში ჩაება მორფოლოგიის ინსტიტუტის კლინი-

მანანა კაკაბაძე

კური პათოლოგიის დიაგნოსტიკური ცენტრიც: საქართველოს სოლიდარობის ფონდის (ხელმძღვანელი ს. კაკალიაშვილი) ინიციატივით დაიწყო ერთობლივი პროექტი კილის (გერმანია) ბავშვთა პათოლოგიის ცენტრთან, რომელიც ითვალისწინებს ბავშვთა სოლიდური სიმსივნეებისა და ლიმფომების ჰისტომორფოლოგიურ და მოლეკულურ დიაგნოსტიკას. აღსანიშნავია, რომ მორფოლოგიის ინსტიტუტში დასმულ დიაგნოზებს (მ. ჯანგავაძე) უმაღლესი შეფასება ეძლევა გერმანელი კოლეგების მხრიდან. აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში ბავშვთა სიმსივნეების სწორი მართვის დამკვიდრებაში, ხოლო მორფოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე მოლეკულურბიოლოგიური კვლევების დანერგვასა და განვითარებაში.

ისტორიის ახალი ფურცელი

2011 წლიდან ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი ფუნქციონირებას განაგრძობს როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი კვლევითი ერთეული.

უნივერსიტეტთან მიერთების შემდეგ ინსტიტუტის დირექტორმა დიმიტრი კორძაიამ თსუ-ის ადმინისტრაციას შესთავაზა თსუ-ის სამედიცინო ფაკულტეტის განთავსება ინსტიტუტის შენობაში. მანამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ანატომიის კათედრა და დეკანატი ყოფილი წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე იყო გაშლილი.

ასეთი ინტეგრაცია ორმხრივ სასარგებლო აღმოჩნდა.

ინსტიტუტის ბაზაზე განთავსდა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის მიმართულებები და კვლევითი ლაბორატორიები. ეს ლაბორატორიები და ექსპერიმენტული ქირურგიული ცენტრის საოპერაციოები გამდიდრდა მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობით, დანადგარებითა და ხელსაწყო-იარაღებით, რომლებიც თანამედროვე სიღრმისეულ კვლევებსა და მიღებული შედეგების სარწმუნოობას უზრუნველყოფენ. უნივერსიტეტის სტუდენტებსა და დოქტორანტებს მიეცათ ინსტიტუტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში ჩართვის საშუალება.

უკვე დასრულების სტადიაშია ინსტიტუტის ძირითადი შენობის სრული რეაბილიტაცია. ამასთანავე, შენარჩუნდა მორფოლოგიის ინსტიტუტის ფართო ავტონომია, სიმბოლიკითა და რეკვიზიტებით.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ თსუ-სთან ინტეგრაციით მორფოლოგიის ინსტიტუტი თავისი სახელოვანი ისტორიის ახალ ფურცელს შლის.



მორფოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორია

მორფოლოგიის ინსტიტუტის ინტერიერი

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი 70

კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეროვნული პროგრამის დაწყებას

2006-2016 წლებში მორფოლოგიის ინსტიტუტს შესრულებული აქვს სხვადასხვა საერთაშორისო ადგილობრივი გრანტით (მათ შორის 2 — საკონფერენციო გრანტით) დაფინანსებული 9 პროექტი. 2016 წელსაც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა 2 პროექტი. 2006-2015 წლებში უცხოურ და ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებულია 287 სამეცნიერო სტატია, გამოცემულია 2 სახელმძღვანელო კლინიკური ანატომიის და 1 (ორ ნაწილად) – ჰისტოლოგიის სფეროში. მორფოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მონაწილეობით გამოქვეყნებულია 5 მონოგრაფია, მათ შორის 2 ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამჟამად ინსტიტუტი მუშაობს ისეთ პროექტებზე, როგორებიცაა: ჰორმონდამოკიდებულ ორგანოთა კიბოსწინა პროცესების და დისპლაზიების მორფოლოგიური დახასიათება — უჯრედთა რეცეპტორული სტატუსის შეფასებით (ონკოლოგიური რისკის ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით); საქართველოში ძუძუსა და ფილტვის კიბოს მოლეკულური ეპიდემიოლოგია (მოლეკულური და მორფოლოგიური კლასიფიკაციების კორელაცია); რეზექციის შემდგომ დარჩენილი და გადანერგილი ნახევარი ღვიძლის რეგენერაცია (რეგენერაცია, დენერვაცია-დელიმფატიზაციის ფონზე). ორგანოთა კონსერვაციის ახალი მეთოდების შემუშავება; დემოგრაფიული დაბერების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში და მათი გადაწყვეტის გზების ძიება.

2006 წელს ინსტიტუტმა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად განახორციელა საერთაშორისო სამეცნირო-ტექნიკური ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტი, რომელიც ეძღვნებოდა საქართველოში Helicobacter Pylori-ის ეპიდემიოლოგიის, კლინიკისა და დიაგნოსტიკას; მოამზადა წინადადებათა და ცვლილებათა პაკეტი პალიატიური მზრუნველობის და წამალთა ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის სრულყოფისათვის, რომლის საფუძველზეც საქართველოს პარლამენტმა 4 კანონში შეიტანა ცვლილებები და დამატებები.

ამავე წელს ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი ჩაერთო კლინიკურ პათოჰისტოლოგიურ დიაგნოსტიკაში და ფართო თანამშრომლობა დაიწყო თბილისის და საქართველოს რეგიონების კლინიკებთან.

ჯანმო-ს კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს (ლიონი, საფრანგეთი) და გაეროს მოსახლეობის ფონდის დაფინანსებით, მორფოლოგიის ინსტიტუტმა 2007-2009 წლებში განახორციელა პროექტი, რომელიც ეძღვნებოდა თბილისის ქალთა პოპულაციაში ადამიანის პაპილომავირუსის პრევალენტობას. ამ პროექტის ფარგლებში თბილისში განხორციელდა ინსტიტუტის ციტოლოგიური ლაბორატორიის აღჭურვა და 1500 ქალის გამოკვლევა. კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ეროვნული პროგრამის დაწყებას.

საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამედიცინო პრობლემათა სახელმწიფო მართვის მეცნიერული და ორგანიზაციული უზრუნველყოფის ხელშეწყობის ფარგლებში, ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში 2009-2010 წლებში დასრულდა სამეცნიერო პროგრამა – „რეპროდუქციული სისტემის პათოლოგიის პირველადი სკრინინგი და ადრეული დიაგნოსტიკა". გამოითქვა სამუშაო ჰიპოთეზა სხვადასხვა ხარისხის სიმსუქნის, საშვილოსნოს ყელის დისპლაზიისა და კიბოსწინა პროცესების ჰორმონულ მექანიზმების ურთიერთკავშირზე ჰიპერთირეოიდიზმის დროს; იოდდეფიციტის ფონზე განვითარებული ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის უკმარისობისას განვითარებული სიმსუქნე კი მიჩნეულ იქნა პრეკანცერული პროცესების ერთ-ერთ წინაპირობად.

ახალი პროექტები

2010 წელს მორფოლოგიის ინსტიტუტმა მუშაობა დაიწყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტებზე: „სწორი მენეჯმენტის წვდომა და ათვისება, როგორც სწავლების ეფექტურობის წინაპირობა", „ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა მორფოლოგიური და მოლეკულურ-ბიოლოგიური თავისებურებების გამოვლენა ქალთა პოპულაციის რისკ-ჯგუფების გათვალისწინებით" და „მორფოლოგიური (პათოლოგანატომიური) ინტერაქტიური დიაგნოსტიკის დანერგვა და განვითარება საქართველოში". უკანასკნელი პროექტის ფარგლებში პირველად ამიერკავკასიაში შეიქმნა სამენოვანი (ქართული, ინგლისური და რუსული) ინტერაქტიური ვებ-გვერდი, რომელზეც მიმდინარეობს საინტერესო მორფოლოგიური მასალის ციფრული ვერსიების განთავსება ექსპერტ-პათოლოგანატომთა კომენტარით.

2013 წლიდან მუშაობა მიმდინარეობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა რეგენერაციული, ადაპტაციური და კომპენსაციური პროცესების თანმხლები სტრუქტურული რემოდელირება და მისი ქსოვილოვანი, უჯრედული და მოლეკულური მექანიზმების კვლევა. კვლევა წარმოებს ნაღვლის შეგუბებისა და ღვიძლის რეგენერაციის ექსპერიმენტულ მოდელებზე, ასევე საქართველოს მასშტაბით შეგროვებულ ფარისებრი ჯირკვლისა და მსხვილი სისხლძარღვების ოპერაციულ მასალაზე.

ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ შეიქმნა სისხლის ხელოვნური მიმოქცევის აპარატი, რომელიც გამოცდილი იქნა ესპანელ და ყაზახ კოლეგათა მონაწილეობით. ამ აპარატის შესაძლებლობების გამოკვლევისა და კლინიკური აპრობაციის მიზნით შემუშავდა პროექტი 5 ევროპული ქვეყნის მონაწილეობით, რომელიც წარდგენილია „ჰორიზონ 2020"-ის საგრანტო კონკურსზე.

მორფოლოგიის ინსტიტუტმა ჯერ კიდევ 2006 წელს დახმარება გაუწია ტოკიოს ტელევიზიის ჯგუფს დოკუმენტური ფილმის „საქართველო დღეგრძელთა ქვეყანა" გადაღებაში, რითაც დაიწყო თანამშრომლობა იაპონიის კომპანია „კოიავა ჰაკოსთან", ასევე, აშშ-ის ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტების ფოგარტის საერთაშორისო ცენტრთან ერთობლივი ბიოტექნოლოგიური პროექტების დაგეგმვისთვის. ორი პროექტი ამჟამად გადის ექსპერტულ შეფასებას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტეგრაციის შემდეგ თსუ-ის სტუდენტებსა და დოქტორანტებს მიეცათ შანსი — ფართოდ მიიღონ მონაწილეობა ჩამოთვლილ და ინსტიტუტში მიმდინარე სხვა პროექტების განხორციელებაში. ეს ორმხრივად სასარგებლო პროცესია, რომელიც თავის ნაყოფს უახლოეს წლებში მოიმკის.



მორფოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები ლაბორატორიაში

ინოვაციური კვლევები და მეთოდიკა

ჯაარსებიდან დღემდე მორფოლოგიის ინსტიტუტში 600-მდე სამეცნიერო საკვალიფიკაციო ნაშრომია შესრულებული.

ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები დღესაც განაგრძობენ მუშაობას კლინიკურ და ექსპერიმენტული მედიცინის ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა: ღვიძლის რეგენერაცია და ტრანსპლანტაცია, გავრცელებული კიბოს მოლეკულური-ბიოლოგიური ეპიდემიოლოგია, ბილიური პათოლოგიების კორელაცია Helicobacter spp-თი ინფიცირებასთან, ფარისებრი ჯირკვლის კვანძოვანი წარმონაქმნის მოლეკულური\ბიოლოგიური და მორფო-ეპიდემიოლოგიური კვლევა მალიგნალიზაციის პოტენციალის გათვალისწინებით (საქართველოს სხვადასხვა რეგიონების ოპერაციულ-ბიოფსიურ მასალაზე). ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ შექმნილი და დაპატენტებულია სისხლის ხელოვნური მიმოქცევის ორიგინალური ტუმბო, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ცვლადი წნევით სისხლის როგორც ლამინარული, ისე პულსური ნაკადით მიწოდება. უცხოელ პარტნიორთა მონაწილეობით დაწყებულია კვლევები აღნიშნული აპარატის გამოსაცდელად საველე პირობებში რეანიმაციის მიზნით, ასევე ტრანსპლანტაციისთვის ორგანოთა კონსერვაციის მიზნით.

გერონტოლოგიისა და პალიატიური მედიცინის დეპარტამენტში მუშაობა მიმდინარეობს დაბერების ბიო-სამედიცინო და სოციალურ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზების ძიებაზე, ასევე, სიცოცხლის მიწურულის აღქმებისა და დამოკიდებულების ასახვის საკითხებზე იმ პირებში, რომელიც აცნობიერებენ დარჩენილი სიცოცხლის შეზღუდულ ხანგრძლივობას.

თამარ ღვამიჩავა,
მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, კლინიკური და ექსპერიმენტული პათოლოგიის დეპარტამენტის პათოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი:

— ავტორადიოგრაფია საკმაოდ რთული მეთოდია: ჩვენ იზოტოპების საშუალებით ვუყურებთ დნმ-ის, რნმ-ის და ცილების სინთეზს. იზოტოპი არის 3H თიმიდინით მონიშვნის ხასიათის, ხარისხის და სამიზნეების თავისებურებათა გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ უჯრედი დაბალდიფერენცირებულია (უმწიფარია) თუ მაღალდიფერენცირებული, გამრავლების როგორი პოტენციალი აქვს, ასრულებს თუ ვერ ასრულებს თავის ფუნქციას. ასე, მაგალითად, 3H-ით პროლინის, გისტიდინის და ურიდინის მონიშვნის შემთხვევაში დავასკვნით, რომ უჯრედი მაღალდიფერენცირებულია და ფუნქციონირების გაგრძელება შეუძლია. ეს მეთოდი განსაკუთრებით საინტერესოა კეთილთვისებიან სიმსივნეების დიაგნოსტიკის დროს, რადგან საშუალებას გვაძლევს რისკის ჯგუფი (ავთვისებიანში გარდამავალი) გამოვავლინოთ. ეს მეთოდი — ავტორადიოგრაფია — ჩვენთან 6 წელია, რაც დამკვიდრდა, ავტორადიოგრაფიული დიაგნოსტიკა საქართველოში მხოლოდ მორფოლოგიის ინსტიტუტში ხდება. ის ძვირადღირებული მეთოდია, თუმცა სხვა მეთოდებთან შედარებით ზუსტი.

თამარ მაჭავარიანი,
მორფოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი:

— ჩვენი კვლევა ეხება პრეპარატ „პლაფერონის" ზემოქმედებას ღეროვანი უჯრედების აქტივობაზე ექსპერიმენტული დიაბეტის დროს. ჩვენ მიერ ვირთაგვებზე ჩატარებული ცდებით დადგინდა, რომ „პლაფერონი" ააქტიურებს პანკრეასში არსებულ ბეტა უჯრედების წინამორბედ ღეროვან უჯრედებს. ეს შედეგი ფრიად საინტერესოა და მომავალი კვლევებისთვის მნიშვნელოვანი.

სიმონ დალაქიშვილი,
გერონტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი:

— გერონტოლოგია კომპლექსური მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა სისტემების მორფო-ფუნქციური, დღეგრძელობის ფენომენის შედარებით პოპულაციური და მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების სამედიცინო, სოციალურ-ეკონომიკური საკითხებს. მორფოლოგიის ინსტიტუტში გერონტოლოგიის განყოფილება 1970 წელს დაარსდა. უკვე 1974 წელს შეი-

მე-11 გვერდზე

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი 70

ინოვაციური კვლევები და მეთოდიკა

ქმნა საქართველოში მცხოვრე-
მეათე გვერდიდან

ბი დღეგრძელი მოსახლეობის ადმინისტრაციული განაწილების ელექტრონული სტენდი მონაცემთა სრული ბაზით. 1976 წელს განყოფილებაში შემუშავდა დღეგრძელობის ფენომენის კომპლექსური შესწავლის პოპულაციური კვლევის პროგრამა.

1982 წელს საკავშირო სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის გადაწყვეტილებით ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი გახდა მოთავე დაწესებულება დღეგრძელობის ფენომენის კომპლექსური კვლევის საკითხებში. დღეგრძელობის ფენომენის კომპლექსური პოპულაციური კვლევის პროგრამით ერთობლივი სამუშაოები განხორციელდა აშშ-ს (1977-1982 წ.წ.), უკრაინის (1977-1983 წ.წ.), ჩეხოსლოვაკიის (1985-1986 წ.წ.), ინგლისის (1984-1986 წ.წ.), იაპონიის (1983-1987 წ.წ.) წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან. 1985-1986 წლებში მსოფლიო ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიწვევით გერონტოლოგიის განყოფილება მონაწილეობდა „კარდიაკის“ პროგრამაში, რომელიც განხორციელდა მსოფლიოს 32 ქვეყანაში, მათ შორის იყო საქართველო. გაეროს მიერ 1999 წელის მოხუცთა საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით, გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა გერონტოლოგიის განყოფილებასთან თანამშრომლობა საერთაშორისო ქარტიის — „საზოგადოება ყველა ასაკისათვის" — მადლობის სერტიფიკატით აღნიშნა. გეროტოლოგიის განყოფილებას ჩატარებული აქვს 4 კონფერენცია გერონტოლოგიისა და გერიარტიის აქტუალურ საკითხებზე (1975 წ, 1982 წ, 1999 წ. და 2016 წ.), აშშ-სთან ორი ერთობლივი სიმპოზიუმი (1980 წ. თბილისი, 1982 წ. ნიუ-იორკი), საერთაშორისო სიმპოზიუმი „დაბერების ციტოგენეტიკა" (1997 წ. თბილისი), 4 რესპუბლიკური კონფერენცია – „მოსახლეობის დაბერების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“ (1975 წ., 2000 წ., 2002 წ., 2004 წ. თბილისი). 1985, 1989 და 2005 წლებში განყოფილება ხელმძღვანელობდა საქართველოს დღეგრძელთა დელეგაციებს ტოკიოში, რომში და ნაგოიაში. გერონტოლოგიის განყოფილებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ტოკიოში „ექსპო-2005“ საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც საქართველოს პავილიონის დევიზი იყო „ჯანმრთელი დღეგრძელობა“. წარდგენილ იქნა ქართული ნაციონალური რძემჟავე პროდუქტი მაწონი „მარიამი“, რომელმაც მომხმარებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

2008 წელს განყოფილებაში შემუშავდა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში წარვადგინეთ ექიმთა, სტუდენტთა და საშუალო სამედიცინო პერსონალის მომზადების სასწავლო პროგრამა გერონტოლოგიასა და გერიატრიაში. 2000-2012 წლებში კი პარლამენტსა და სამთავრობო სტრუქტურებში წარდგენილ იქნა უფროსი ასაკის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, სოციალური დაცვის და ეკონომიკური უზრუნველყოფის რეკომენდაციები.

მიმდინარე წლის პირველ ოქტომბერს ჩატარდა კონფერენცია თემაზე — ღირსეული სიბერე, სადაც ქართველი და უცხოელი სპეციალისტები მონაწილეობდნენ. კონფერენიაზე განიხილეს ის სამედიცინო, სოციალური და ეკონომიკური პრობელემები, რომელიც გამოიკვეთა საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერების პროცესთან დაკავშირებით.

ამჟამად მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის ფორმირება, რომელიც წარედგინება აღმასრულებელ ხელისუფლებას.



ზურაბ ცაგარელი,
ციტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი:

— ციტოლოგიის განყოფილება დაარსდა 1969 წელს. განყოფილებაში ტრადიციულად ვსწავლობთ მიკროციკულაციური კალაპოტის ორგანოს სპეციფიკურ ცვლილებებს ფიზიოლოგიური ნორმის და სხვადასხვა ზემოქმედების პირობებში კვლევის მორფოლოგიური მეთოდებით, მათ შორის, ელექტრონულ-მიკროსკოპული და იმუნოჰისტოქიმიური ტექნოლოგიებით. მნიშვნელოვანი კვლევები გვაქვს ჩატარებული ცენტრალური ნერვული სისტემის ჰისტო–ჰუმორული ბარიერების რეაქციების შესასწავლად გარემოს ექსტრემალური ფაქტორების ზემოქმედების (მათ შორის ჟანგბადის უკმარისობის) და ძირითადი პათოლოგიური პროცესების პირობებში. ჩვენ მიერ დადგენილი ორგანიზმის დაზიანებითი და აღდგენითი რეაქციების უჯრედული და მოლეკულური საფუძვლები ასახულია მრავალ სტატიასა მონოგრაფიაში.

ლიანა გოგიაშვილი,
მორფოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური და ექსპერიმენტული პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი:

— ექსპერიმენტული ანატომიის განყოფილება მორფოლოგიის ინსტიტუტის დაარსების დღიდან – 1946 წლიდან არსებობს. მისი პირველი გამგე 1946-1951 წ.წ. იყო აკად. მ. კომახიძე, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ინსტიტუტის შექმნის ორგანიზებაში და მთელი სიცოცხლის მანძილზე მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტი ჰქონდა ინსტიტუტთან, იყო სამეცნიერო კონსულტანტი.

ექსპერიმენტული ანატომიის განყოფილებაში დაარსებიდან პირველ პერიოდში ინიექციის მეთოდით შეისწავლებოდა სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილის (გული, ღვიძლი, საშვილოსნო, ნაწლავები, კუჭი, ფილტვები, ენდოკრინული ჯირკვლები) ინტრაორგანული სისხლძარღვები, ასევე ნერვები, როგორც ნორმულად, ისე პათოლოგიაში და ექსპერიმენტულ მოდელებზე.

ამ განყოფილებაში ნ. ჯავახიშვილის, მ. კომახიძის, მ. ტატიშვილის, თ. ღიბრაძის, ნ. მამფორიას, ლ. შელიას და მათი კოლეგების მიერ სისტემატიურად მიმდინარეობდა გულის ვასკულარიზაციის ცვლილებების გამოკვლევა კარდიოსკლეროზის, მანკების, ინფარქტის და სხვა პათოლოგიების დროს. შეისწავლებოდა გვირგვინოვანი არტერიების ტიპობრივი სახესხვაობები და ცალკეული ტიპების სიხშირე, რაც მნიშვნელოვანია მათი დახშვის და მიოკარდის ინფარქტის განვითარების რისკის შეფასებისთვის.

საყურადღებო გამოკვლევები ჩატარდა საშარდე სისტემის სისხლძარღვებისა და ინერვაციის, პათოლოგიების დროს (ტუბერკულოზი, ქრონიკული პნევმონია, მიტრალური სტენოზი) ფილტვის ინტრაორგანული სისხლის ძარღვების ცვლილებების შესასწავლად. გამოკვლეულია გულისა და ფილტვების სისხლის ძარღვების ცვლილებები ფართო პულმოექტომიის შემდგომ, მიოკარდიუმში სტრესით და ექსპერიმენტული ათეროსკლეროზით გამოწვეული ცვლილებები; ღვიძლის სისხლძარღვებისა და ნაღვლის სადინარების განლაგების თავისებურებების კომპლექსური შესწავლის გზით დადგინდა ღვიძლის სეგმენტებს შორის საზღვრები, სადაც შესაძლებელია უსაფრთხო განაკვეთის გაკეთება და ღვიძლის ცალკეული სეგმენტების რეზექცია. ასევე, შესწავლილია საშვილოსნოს სისხლძარღვები ნორმასა და ზოგიერთი ექსპერიმენტული პათოლოგიის პირობებში. გამოკვლეულია ენის, საყლაპავის, ფარისებრი და თირკმელზედა ჯირკვლის ინტრაორგანული სისხლის ძარღვების თავისებურებანი, გამოვლენილია მათი დატოტიანების საზღვრები, ორგანოს პარენქიმისა და კაპილარული ქსელის ცვლილებები არტერიის გამოთიშვის პირობებში.

2006 წლიდან განყოფილება გადაკეთდა კლინიკური და ექსპერიმენტული პათოლოგიის დეპარტამენტად (კლინიკური ანატომიის მიმართულება ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდა).

ამჟამად მიმდინარე კვლევები დაკავშირებულია თანამედროვე პრობლემატიკასთან — ვიკვლევთ იმ პრობლემურ საკითხებს, რის წინაშეც დგას ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა. ერთ-ერთი გახლავთ ეროვნული (სამედიცინო-გეოგრაფიული) პრობლემა – ენდემური ჰიპოთერიოზი – ფარისებრი ჯირკვლის უკმარისობა. მნიშვნელოვანია, რომ მას იწვევს არამარტო იოდდეფიციტი, არამედ რადიოაქტიური დაბინძურებაც. ევროკავშირის გრანტის დახმარებით საქართველოში შემუშავებულია რადიაციული დაბინძურების რუქა. როდესაც მასზე ჩვენი კვლევების აპლიკაცია მოვახდინეთ, ცხელი წერტილები ერთმანეთს დაემთხვა. რადიაციული ფონი მომატებულია აჭარის მაღალმთიანეთში, რაჭალეჩხუმის გარკვეულ ნაწილში, ზღვისპირეთში. დავიწყეთ მორფო-ეპიდემიოლოგიური კვლევა, შედეგები საქართველოს პარლამენტს მოვახსენეთ, რამაც დიდი რეზონანსი გამოიწვია. ჩვენმა კვლევებმა მნიშვნელოვნად განაპირობა შესაბამისი საკანონმდებლო დამატებების და იოდიზებული მარილის შემოტანა.

ახლა ვმუშაობთ ჰორმონდამოკიდებული ორგანოების სიმსივნეებზე. ეს გახლავთ ძუძუ, პანკრეასი, ფარისებრი ჯირკვალი. ფოკუსირებას ვახდენთ უკანასკნელ ხანს ძალიან გავრცელებულ მიკროკარცინომებზე – ერთ სანტიმეტრზე ნაკლები ზომის სიმსივნეებზე. ასევე, ექსპერიმენტში სპეციალურ ხაზოვან თაგვებზე ვიწყებთ ჰაშიმოტოს აუტოიმუნური თეირეოიდიტის კვლევებს.

ინტენსიურად ვთანამშრომლობთ ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრთან. იქ ძალიან მნიშვნელოვანი კარდიოქირურგიული მუშაობაა გაშლილი. ოპერაციული მასალის პათოლოგანატომიურ დიაგნოსტიკას ჩვენ ვახდენთ. განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევს გულის სიმსივნეები, წინა გულის სიმსივნეები, სხვადასხვა სახის ანევრიზმები. ვვარაუდობთ, რომ ქართულ პოპულაციაში აორტის ანევრიზმების განვითარება „გენდამოკიდებული" პროცესი უნდა იყოს. ჯერჯერობით პილოტური ტიპის კვლევები გვაქვს, თუმცა ჩვენი დოქტორანტების შრომები უკვე გამოქვეყნებულია ინგლისისა და ამერიკის რეცენზირებად, იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში.

ციური სუმბაძე,
ანდროლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი:

— ანდროლოგიის განყოფილება პროფესორმა ნოდარ ჭიჭინაძემ 1976 წელს დაარსა. შესწავლილია სათესლე ჯირკვლის კაპილარული ქსელის ორგანოს სპეციფიკურობა, როგორც იშემიის, ასევე სხვადასხვა პათოლოგიური პროცესის დროს. შემუშავებულია იმ რთული პროცესის არსის ამსახველი მეცნიერული დებულებები, რაც საფუძვლად უდევს სათესლე ჯირკვლის ატროფიას მისი დაზიანების შემთხვევაში, და რეგენერაციულ პროცესებს მისი სტიმულაციის შემდეგ. ჩამოყალიბებულია ანდროლოგიური მეცნიერების როგორც ცოდნის ერთიანი, მთლიანი სისტემისა ფუნქციური სტუქტურა, რომელიც სწავლობს მამაკაცის სამედიცინო–ბიოლოგიურ, სოციოლოგიურ, პიროვნულ–ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ ასპექტებს. რადიოავტოგრაფიული და რადიომეტრიული მეთოდებით დადგენილია გულის კუნთის ყველა ნაწილში ანდროგენ და ესტროგენ დამოკიდებული რეცეპტორების არსებობა. შესწავლილია მამაკაცის ანგარებითი სოციალური ტიპის „კონცეფციური არამზადის“ ფსიქოლოგიური სტატუსი“.

მორფოლოგიის ინსტიტუტზე ჩანართი მოამზადეს ნატო ობოლაძემ და თამარ დადიანმა

ინგლისურ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონის წარდგინება თსუ-ში

6 დეკემბერს თსუ-ის ლექსიკოგრაფიულმა ცენტრმა „ინგლისურ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონი“ წარადგინა. შეხვედრაზე საზოგადოება გაეცნო პროექტის ფარგლებში შექმნილ ორ პროგრამულ პროდუქტს: მრავალენოვანი ლექსიკონის მართვის სისტემასა და მრავალენოვანი ონლაინ-ლექსიკონის ახალ პლატფორმას. ლექსიკონის ავტორებმა ასევე ისაუბრეს ტექნიკური დარგების ტერმინოლოგიასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და ბარბარიზმების წინააღმდეგ ბრძოლის საინტერესო პროგრამულ გადაწყვეტაზე. პროექტის ფინანსური მხარდამჭერი გახლდათ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

ინგლისურ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის ონლაინ-ლექსიკონი არის მე-3 პროექტი დარგობრივი ლექსიკონების ციკლიდან. პირველი ორი გახლდათ 2009 წელს გამოცემული ინგლისურ-ქართული სამხედრო ონლაინ-ლექსიკონი და 2014 წელს გამოცემული ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ონლაინ-ლექსიკონი, რომელიც 23 000 ტერმინს მოიცავს.

ინგლისურ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის ონლაინ-ლექსიკონზე მუშაობა 2014-16 წლებში მიმდინარეობდა და უკვე დასრულდა. წინამორბედების მსგავსად, ისიც განთავსებულია ინტერნეტში და არის წინ გადადგმული ნაბიჯი ქართულ ენაში შემოჭრილი უცხო ტერმინების შესატყვისების დამკვიდრებისთვის.

ლექსიკონში შესულია ელექტრონული და კომპიუტერული ტექნიკის, მანქანა-დანადგარებისა და ნაწილების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, საავტომობილო, სამშენებლო, სამთამადნო, სარკინიგზო და ჰიდროტექნიკური ტერმინოლოგია.

„თითოეული ეს დარგი უამრავ ქვედარგსა და ქვესფეროს მოიცავს. მაგალითად, მარტო ერთ — სატელეკომუნიკაციო დარგში შედის: ტელეფონი, ავტომატური სატელეფონო სადგურები, მულტიპლექსირება, პაკეტების კომუტაცია, სადენები, ბოჭკოვან-ოპტიკური კავშირი, ლაზერული ტექნოლოგიები, სატელიტური კავშირის საშუალებები და უამრავი სხვა რამ. ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ, ლექსიკონზე მუშაობის დროს ყველა ამგვარი ქვედარგი მოგვეცვა. წყაროდ გამოყენებულია ლექსიკოგრაფიულ ცენტრში მრავალი წლის მანძილზე შექმნილი ლექსიკოგრაფიული ბაზა და ყველაზე თანამედროვე ლექსიკონები ყველა მიმართულებით. გარდა ამისა, მაქსიმალურად შევეცადეთ, ონლაინ-ლექსიკონში აგვესახა უახლესი ტერმინოლოგია, რომელიც ამ დარგების განვითარების შედეგად შეიქმნა“, — აღნიშნა ლექსიკონის წარდგინებისას თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა თინათინ მარგალიტაძემ.

ლექსიკონში მოცემულ თითოეულ სიტყვა-სტატიას მოსდევს როგორც ტერმინოლოგიური შესატყვისი, ასევე დარგობრივი კვალიფიკაცია, სინონიმები და მეზობელი სიტყვები. მაგალითად, თუ მოცემულია სიტყვა tablet, მას მოსდევს ქართული შესატყვისი — 1. (სპეც) ფირფიტა, დაფა, ფიალა, 2. (კომპ) პლანშეტი, პლანშეტური კომპიუტერი, ტაბლეტი (სენსორულეკრანიანი პორტატიული კომპიუტერი, უსადენო ინტერნეტ-კავშირისა და მობილური/ფიჭური სატელეფონო კავშირის ფუნქციებით. აქვე მარცხენა ველში მოცემულია სინონიმი – tablet computer და მეზობელი სიტყვები: TA; tab; table; table flotation; tablet; tablet computer; tab stops; tabulation; tabulator; tab washer და ა.შ.

ლექსიკონი იმითაცაა გამორჩეული, რომ მასში მოცემულ ტერმინთა უმრავლესობას დართული აქვს რუსული ექვივალენტი, რადგან ქართულ ენაში წლების განმავლობაში ფესვგადგმული და დამკვიდრებულია სწორედ რუსული ტერმინოლოგია, განსაკუთრებით მანქანა-დანადგარებისა და ნაწილების სფეროში.

ლექსიკონი პრაქტიკულად სამენოვანია: იგი მოიცავს 18 670 ინგლისურ სიტყვა-სტატიას, ქართულ 24 036 სიტყვა-სტატიასა და რუსულ 11 591 სიტყვა-სტატიას, რაც ჯამში 54 297 სიტყვა-სტატიაა. საძიებო ველში, რომელიც მოხერხებული იარაღია საინტერესო ტერმინის მოსაძებნად, შესაძლებელია ჩაიწეროს როგორც ინგლისური, ასევე ქართული და რუსული სიტყვა და შედეგად მიიღო ამომწურავი ინფორმაცია ამ სიტყვის ყველა მნიშვნელობისა და შესატყვისების შესახებ (სამივე ენაზე). მაგალითად, თუ მომხმარებელი საძიებო ველში ჩაწერს ქართულ ენაში დამკვიდრებულ ბარბარიზმს –„რაზვალი“, ლექსიკონი შემოგთავაზებთ ამ სიტყვის ქართულ შესატყვისს — „წინა თვლების ნახარი“ და ინგლისურ ტერმინს — camber, რომელსაც ასევე მოსდევს განმარტება, დარგობრივი კვალიფიკაცია და მეზობელი სიტყვების ჩამონათვალი.

ლექსიკონში გარდა სიტყვა-სტატიებისა, მოცემულია მეთაური სიტყვები, სინონიმები და აბრევიატურები, რის შედეგადაც, ჯამში, წარმოდგენილია 21 232 ინგლისური მეთაური სიტყვა, 24 236 ქართული მეთაური სიტყვა და 11 591 რუსული მეთაური სიტყვა (სულ ლექსიკონში შესულია 56 859 მეთაური სიტყვა). ამასთან, მოცემულია ჯამში 87 292 ტერმინოლოგიური წყვილი ექვსი მიმართულებით.

ჩვენ ვებრძვით ბარბარიზმებს

ლექსიკონის წარდგენისას განსაკუთრებით აღინიშნა ბარბარიზმის პრობლემის შესახებ ტექნიკურ ტერმინოლოგიაში. „ყველაზე მეტი ბარბარიზმი რუსული ენიდანაა შემოსული. ეს დაუმთავრებელი „ფეჩი“, „პრაკლატკა“, „რაზვალი“ და „ატვიორტკა“ ჩვენი ცხოვრების განუყრელი ნაწილი გახდა. სანამ ჩვენ ამ ლექსიკონს ვაკეთებდით, ბუნებრივია, ეს პრობლემა არ მოგვარდებოდა, მაგრამ ამან გადაგვაწყვეტინა რუსული ენის დამატება ონლაინ-ლექსიკონში, რადგან ვიფიქრეთ, რომ თუ ინგლისურ სიტყვას დავუწერდით სახრახნისს და იქვე მივანიშნებდით, რომ რუსულად ეს ნიშნავს отвёртка-ს, იქნებ ახალგაზრდა თაობაში მაინც გავრცელებულიყო ამ ბარბარიზმების ქართული შესატყვისები. ჩვენ ვებრძვით ბარბარიზმებს!“, — აღნიშნა თინათინ მარგალიტაძემ და იქვე ახსნა, რატომ შეიტანეს მათ ბარბარიზმები ლექსიკონში დამატებით ქართული ასოებით (მაგალითად, ასე: „რაზვალი”): „ცოტა ხნის წინ საკმაოდ პრესტიჟულ მაღაზიაში მომცეს მანქანის ნაწილების ჩამონათვალი, სადაც ქართული ასოებით ეწერა: „წინა გიტარის წინა რაზვალნი ტულკა“, „წინა სუხოის რეზინკები“, „წინა სუხოის სტერჟინი“, „უკანა ბალკის ტულკები“ და ა.შ. ქართული ასოებით ამ დასახელებების ჩამონათვალში შეტანას მაღაზია ასე ამართლებს — თუ ასე არ დავწერთ, ვერც მყიდველი და ვერც ხელოსანი გაიგებს, მანქანის რა ნაწილს ვყიდითო. ამ ლექსიკონში არის 872 ბარბარიზმი და ქართული ასოებით მათი აკრეფის შემთხვევაში ლექსიკონი მათ ქართულ შესატყვისს შემოგთავაზებთ“, — აღნიშნა მან.

მრავალენოვანი ლექსიკონის მართვის სისტემაზე და ახალ პლატფორმაზე ისაუბრა ლექსიკონის ტექნიკურმა რედაქტორმა მაია დავლიანიძემ. ხოლო მთლიანად სარედაქციო ჯგუფმა დამსწრე საზოგადოებას მცირე სიურპრიზიც მოუწყო — წარადგინა მცირე ვიდეოკლიპი და სპეციალური გვერდი სოციალურ ქსელში, სადაც ბარბარიზმები და მათი ქართული შესატყვისებია მოცემული (იხილეთ ჯგუფი www.facebook.com-ზე: „ლექსიკოგრაფია თსუ-ში/Lexicography in TSU”).

ლექსიკონი, რომელიც უკვე ნოემბრიდან არის გაშვებული ინტერნეტ სისტემაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიძიოს მისამართზე http://techdict.ge.

მის შექმნაზე მუშაობდნენ: თინათინ მარგალიტაძე (პროექტის ხელმძღვანელი), გელა ხუნდაძე, გიორგი მელაძე (ლექსიკონის შემდგენლები), ზაალ ზურაბაშვილი (ასისტენტ-შემდგენელი), მაია დავლიანიძე (ტექნიკური რედაქტორი), გიორგი ქერეჭაშვილი (პროგრამული პროდუქტების ავტორი).

ტექნიკური ლექსიკონისა და პროგრამული პროდუქტების წარდგენამ საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე თინათინ ბოჭორიშვილი, ცნობილი მთარგმნელი და თეატრალური მოღვაწე მანანა ანთაძე, თსუ-ის თარგმანმცოდნეობის კათედრის ხელმძღვანელი ინესა მერაბიშვილი, თსუ-ის დასავლეთ-ევროპული ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ხელმძღვანელი მანანა გელაშვილი, ილიას უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ცენტრის ხელმძღვანელი ნინო დობორჯგინიძე.

თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრი კვლავ აგრძელებს მუშაობას დარგობრივ მრავალენოვან ლექსიკონებზე, რომელთა საჭიროებაც სპეციალურ ტერმინთა ქართულ ენაზე დამკვიდრებისთვის უკვე აშკარაა.

სწორია/არასწორია

გთავაზობთ ბარბარიზმების რამდენიმე მაგალითის ქართულ შესატყვისს, რომელთა განმარტებასაც თსუ-ის ლექსიკოგრაფიის ცენტრი გვაწვდის სოციალურ ქსელში (იხილეთ ჯგუფი www.facebook.com-ზე: „ლექსიკოგრაფია თსუ-ში/Lexicography in TSU“):

„აჯენდა“ (agenda) – დღის წესრიგი (მაგ.: ვაქვეყნებთ შეხვედრის ~~აჯენდას~~ დღის წესრიგს);

„ბორდი“ (board) – მმართველობა, საბჭო, კომისია, კოლეგია, კომიტეტი (მაგ.: თითქმის 5-წლიანი დირექტორობის შემდეგ, ბატონი სმითი კომპანიის ~~ბორდში~~ მმართველ ორგანოში გადაინაცვლებს);

„პანელი“ (panel) – სპეციალისტების ჯგუფი (მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობისთვის შეკრებილი (მაგ.: ამ საკითხების განსახილველად ~~პანელი~~ სპეციალისტების ჯგუფი შეიკრიბა);

„პოზიცია“ (position) – თანამდებობა, ადგილი (მაგ.: თითქმის 5-წლიანი დირექტორობის შემდეგ ერიკ სმითი ~~პოზიციას~~ თანამდებობას ტოვებს);

„კონტრიბუცია“ (contribution) – წვლილი (მაგ.: X-მა ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ~~კონტრიბუცია~~ წვლილი შეიტანა);

„ვიზიტორი“ (visitor) – სტუმარი, მნახველი, ტურისტი (მაგ.: წელს საქართველოში ყველაზე მეტი ~~ვიზიტორი~~ ტურისტი შემოვიდა);

„აროგანტული“ (arrogant) – ქედმაღალი, მედიდური, ამპარტავანი, დიდგულა, გულზვიადი (მაგ.: ~~აროგანტულობაში~~ ქედმაღლობაში ნუ ჩამომართმევთ);

„იმპლემენტაცია“ (implementation) – განხორციელება, შესრულება, რეალიზაცია (მაგ.: პროექტის ~~იმპლემენტაცია~~ განხორციელება);

„ტრენდი“ (trend) – მიმართულება, მიმდინარეობა, ტენდენცია (მაგ.: მოდური ~~ტრენდი~~ ტენდენცია);

„კრეატიული“ (creative) – შემოქმედებითი, მხატვრული (მაგ.: ~~კრეატიული~~ შემოქმედებითი ახალგაზრდა; ~~კრეატიული~~ მხატვრული იდეები, ~~კრეატიული~~ მახვილგონივრული გამოგონება);

„სეკუნდარული“ (secondary) – მეორეხარისხოვანი, დამხმარე (~~სეკუნდარული~~ დამხმარე ლიტერატურა).

მაია ტორაძე

„მეომარი“ ისტორიკოსი, რომელიც ტერიტორიების დასაბრუნებლად შეურიგებლად იბრძვის

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲗᲐᲠᲝᲖᲔ

საქართველოს კიდევ ერთ დაკარგულ ისტორიულ ეთნოგრაფიულ მხარეს და ქართველთა გამქრალი ეთნოგრაფიული ჯგუფის შესახებ დაიწერა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის როლანდ თოფჩიშვილის ვრცელი ნაშრომში: „დვალეთი და დვალები“, რომელიც მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილს დაბადების 140-ე წლისთავს მიუძღვნა.

როგორც მოსალოდნელი იყო, წიგნს საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა სამეცნიერო წრეებში. პრეზენტაციაზე მეცნიერის ნაშრომის შეფასებისას გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ნაშრომის დაწერას და გამოქვეყნებას დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამეცნიერო, არამედ პოლიტიკური კუთხითაც, რადგან სწორედ ამ ნაშრომში აქამდე ჯერ კიდევ ბევრ პასუხგაუცემელ კითხვას გაეცა პასუხი: ვინ არიან დვალები? რა ეთნიკური პროცესები მიმდინარეობდა აქ საუკუნეების მანძილზე? როდის და რა ვითარებაში მოხდა ეთნოსების შეცვლა?

წიგნის რედაქტორების შეფასებით, „ქართველმა ხალხმა ეთნიკური ისტორიის რთული გზა განვლო. XV საუკუნის ბოლოს ქვეყანა დაიშალა, რის შედეგადაც კონსოლიდირებული ქართველი ერის ეთნიკური მრუდი დაღმა დაეშვა და დეზინტეგრაციის პროცესი დაიწყო. ქართველთა გამქრალ ეთნოგრაფიულ ჯგუფს შორის დვალებიც აღმოჩნდნენ, ხოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ოსი მეცნიერები საქართველოს ისტორიულ- ეთნოგრაფიული მხარის — დვალეთის მკვიდრთ ოსებად მიიჩნევენ. როლანდ თოფჩიშვილის ნაშრომში „დვალეთი და დვალები“ გაანალიზებულია დვალეთისა და დვალების შესახებ არსებული სხვადასხვა მონაცემები, რის საფუძველზეც მიღებულია დასკვნა, რომ ცენტრალურ კავკასიაში მდებარე დვალეთი, საქართველოს სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის დღიდან, მისი განუყოფელი ნაწილი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა, ხოლო დვალები ეთნიკური ქართველები, ქართველთა ეთნოლოგიური ჯგუფი იყო“, — ასეთია წიგნის რედაქტორების შეფასება.

პრეზენტაციაზე როლანდ თოფჩიშვილმა აღნიშნა, რომ დვალეთის თემატიკით იგი ჯერ კიდევ 1980-იან წლებში დაინტერესდა, როდესაც იგი საქართველოში ოსთა მიგრაციის პრობლემებზე მუშაობდა.

„დვალთა ეთნიკური ვინაობა 1977 წელს გამოცემული ჩვენი მონოგრაფიის — „საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები“ — მონაკვეთსაც მოიცავდა, რადგან ეს ორი პრობლემა ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული. დვალების შესახებ სხვა ნაშრომებიც დავწერე, თუმცა ზოგიერთი შეხედულება გადაისინჯა. ჩემი აზრით, ოსური საკითხი საქართველოში ყველას გათავისებული უნდა ჰქონდეს, ამ პრობლემასთან კი უშუალოდ არის დაკავშირებული დვალეთისა და დვალთა საკითხი, რაც ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა და მასზე ზერელე და ყურმოკრული ფაქტები კი არ უნდა გვქონდეს, არამედ, რეალური“, — ასეთია როლანდ თოფჩიშვილის მოსაზრება წიგნი დაწერის თაობაზე.

წიგნის მნიშვნელობაზე ისაუბრა ეთნოლოგმა ნოდარ შოშიტაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ნაშრომში მოყვანილი ფაქტები და არგუმენტები დამაფიქრებელია და ამიტომ ეს თემა მეცნიერების მხრიდან ღრმად საკვლევია: „სამწუხაროდ, ჩვენი მიწა-წყლის ნაწილი დაკარგულია და ყველას გვაწუხებს კითხვა: რატომ დავკარგეთ ეს ტერიტორიები, მათ შორის, დვალეთი? ამ საკითხის ირგვლივ ბევრი კითხვაა და ის ცდება მეცნიერების კომპეტენციას. ჩვენ უნდა ვისაუბროთ მცოცავ აგრესიაზე და პოლიტიკურ შეცდომებზეც. ამ წიგნის გამოცემა მნიშვნელოვანია კიდევ იმით, რომ ახალგაზრდა თაობა და, ზოგადად, ქართული საზოგადოება ნაკლებად იცნობს ამ პრობლემას. საქართველოში გვარი — დვალი — საკმაოდ გავრცელებულია, მაგრამ ბევრმა არ იცის მისი წარმომავლობა. დროა, ფაქტების დამახინჯების გარეშე დაიწეროს ჩვენი ისტორია, ეს წიგნი სწორედ ამის მაგალითია“, — აღნიშნა ნოდარ შოშიტაშვილმა.

წიგნის შესახებ თავისი მოსაზრება გამოთქვა თსუ-ის პროფესორმა დიმიტრი შველიძემ: „ისტორიას მახსოვრობასთან ერთად ხანდახან დავიწყების უნარიც ჰქონია. ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან ქართულ პრესაში, სადაც ქვეყნდებოდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების განცხადებები და განიხილებოდა, თუ რომელი პროვინციებისგან შედგებოდა საქართველო, ქართულ ისტორიულ პროვინციებს შორის დვალეთი ცალკე პროვინციად არ მოიხსენიებოდა. მაშინდელმა პრესამ და პოლიტიკურმა ელიტამ დაივიწყა ეს საკითხი. წიგნი „დვალეთი და დვალები“ გვახსენებს და შეისწავლის ამ პრობლემას, ამიტომ იგი ეთნოლოგიური მეცნიერების ჩარჩოებს ცდება და პოლიტიკურ სფეროში ექცევა“, — განაცხადა დიმიტრი შველიძემ.

მეცნიერს ნაშრომისთვის მადლობა გადაუხადეს დვალის გვარის წარმომადგენლებმაც: ,,ჩვენი გვარი ძალიან წარმატებულია, ვამაყობთ ჩვენი წარმოშობით. დვალეთზე სხვა ნაშრომებიც არსებობს, მაგრამ ეს წიგნი განსაკუთრებულია, რადგან ავტორს ძალიან ფუნდამენტურად აქვს შესწავლილი ეს სფერო, რაზეც დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ მას“, — განაცხადა ირაკლი დვალმა.

როლანდ თოფჩიშვილმა მადლიერებით მოიხსენია ყველა მეცნიერი, ვინც ამ თემაზე მუშაობდა და აღნიშნა, რომ ნებისმიერი ქართველის ვალია, თავისი მოღვაწეობით პასუხი გასცეს იმ ძალას, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხეს უქმნის.

წიგნის პრეზენტაციაზე კიდევ ერთხელ ითქვა, რომ როლად თოფჩიშვილი, ამავდროულად, „მეომარი“ ისტორიკოსიც არის, რომელიც ტერიტორიების დასაბრუნებლად პრინციპულად და შეურიგებლად იბრძვის და მისთვის ეს „იარაღი“ სამეცნიერო ნაშრომებია.

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

„სტუდენტი, როგორც „უცხო“

ᲘᲐᲒᲝ ᲙᲐᲭᲙᲐᲭᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲞᲘᲙᲔᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚ VI ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ

„აუდიტორია 115“-მა უკვე 20 დღეზე მეტია, რაც უმაღლესი განათლების ფუნდამენტური რეფორმის მოთხოვნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VI კორპუსი დაიკავა. თუმცა, მათი აქტივობები უკვე რამდენიმე თვეა გრძელდება. მოთხოვნები ამ დრომდე უცვლელია. „აუდიტორია 115“-ის სოლიდარობის ნიშნად თსუ-ის VI კორპუსში პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა საჯარო ლექცია გამართა თემაზე — „სტუდენტი, როგორც „უცხო“. ლექციაზე განიხილეს სტუდენტი, როგორც ცვლილებათა ტრანსფორმაციის წყარო, მისი როლი და ადგილი საზოგადოებაში; იმსჯელეს — თუ როგორია „მაღალი მოდერნულობის“ მატარებელ საზოგადოებაში სტუდენტის „იდეალური ტიპი“ და რამდენად შეესაბამება ამ „იდეალური ტიპის“ მახასიათებლებს საქართველოში დღეს მოქმედი სტუდენტური ჯგუფების აქტივობები.

„ვინ არის განვითარებული მოდერნიზმის „იდეალური სტუდენტი“? ეს არის ადამიანი, რომელიც სოციალურ გარემოს ითვალისწინებს, მაგრამ ამ გარემოს მიმართ კრიტიკული დისტანცია უჭირავს. იგი არ გახლავთ გარემოსთან სრულად ასიმილირებული. ის აღიარებს სწავლისა და სოციალური და სამოქალაქო აქტივობის დუალიზმს. გულწრფელად ვამბობ, რომ „აუდიტორია 115“-ში გაერთიანებულნი არიან ჩემი სტუდენტებიც და არ მახსოვს, რომ რომელიმე მათგანს სასწავლო პროცესის დროს დაკისრებული მოვალეობა არ შეესრულებინოს. „იდეალური სტუდენტის“ ერთ-ერთი მახასიათებელია ის, რომ იგი შეიძლება იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, ან იზიარებდეს მის იდეოლოგიას, თუმცა სტუდენტურ ჯგუფში მხარს უჭერდეს იდეოლოგიურ პლურალიზმს. ასეთი სტუდენტი არ არის რადიკალი და შეუძლია გონივრულ კომპრომისზე წასვლა. მას არ ჰყავს მუდმივი მეტოქეები და მომხრეები.

ჩვენ ამ მოდელს თუ გამოვიყენებთ შეფასებისა და შემეცნების მხრივ, შეგვიძლია ვნახოთ — საქართველოში რომელი სტუდენტური ჯგუფი უფრო მეტად შეესაბამება „იდეალურ სტუდენტს“. ჩემი აზრით, ამ მოდელთან მიახლოებულია „აუდიტორია 115“, ვიდრე სხვა რომელიმე ჯგუფი საქართველოში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ ჯგუფის წევრები ყველა პარამეტრს იდეალურად აკმაყოფილებენ“, — აღნიშნა ლექციაზე იაგო კაჭკაჭიშვილმა.

„აუდიტორია 115“-ის წევრების თქმით, ლექციამ საინტერესოდ ჩაიარა — მათ საშუალება მიეცათ, დაენახათ მოძრაობის ხარვეზები და განესაზღვრათ მათი გამოსწორებისთვის საჭირო ქმედებები. სტუდენტებმა მოძრაობის ერთერთ უარყოფით მახასიათებლად რადიკალიზმი დაასახელეს.

„იაგო კაჭკაჭიშვილი იმ პროფესორთაგანია, რომელიც ყოველთვის გვამხნევებდა, გვაძლევდა რჩევებს, საჭიროების შემთხვევაში, კრიტიკულსაც. იგი გახლავთ პროფესიონალი და კარგი პიროვნება, შეუძლია თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მოცემა. შესაბამისად, ლექცია ძალიან საინტერესო იყო და „აუდიტორია 115“-ს თუ რაიმე ხარვეზი ჰქონდა, ყველამ ნათლად დავინახეთ. გავიგეთ, როგორ უნდა იარო ამ გზაზე, რომ არ შეცდე, ან შეცდომა როგორ გამოასწორო. ლექციაზე ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან გამოვყოფდი – რადიკალიზმს, ანუ საჭიროა, რომ დარჩე „უცხოდ“ და დაინახო როგორც ცუდი, ასევე კარგი. თუმცა, პირადად, კარგის დანახვა მიჭირს, რადგან იმდენად ბევრი ცუდი ხდება, დადებითი მოვლენების დანახვის სურვილი აღარ მიჩნდება“, — განაცხადა იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა მარიამ ყაველაშვილმა.

საჯარო ლექციაზე იაგო კაჭკაჭიშვილმა უმაღლესი სასწავლებლის მართვაში სტუდენტთა ჩართულობის მნიშვნელობასა და შედეგებზეც ისაუბრა, ხაზი გაუსვა ადმინისტრაციასთან სტუდენტთა უკუკავშირის ინსტიტუციურად დანერგვის აუცილებლობას და ა.შ.

საჯარო ლექცია „სტუდენტი, როგორც „უცხო“ თსუ-ის VI კორპუსში 13 დეკემბერს გაიმართა.

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

სამეცნიერო ალმანახი — „ჰერმენევტიკული ჰორიზონტები“

25 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სამეცნიერო ალმანახის – „ჰერმენევტიკული ჰორიზონტები“ პრეზენტაცია გაიმართა. როგორც ღონისძიებაზე ითქვა, ალმანახის დაფუძნება უმაღლესი სასწავლო სისტემის მომავალ გაუმჯობესებას ემსახურება და ღირებული დასავლური ლიტერატურის უკეთ გაცნობას ისახავს მიზნად. აღსანიშნავია, რომ „ჰერმენევტიკული ჰორიზონტების“ პირველ ნომერში თავმოყრილი მასალა ინგლისური, გერმანული და რუსული ორიგინალებიდან თარგმნილი ნაშრომების კრებულს წარმოადგენს და ჰერმენევტიკის ირგვლივ ერთიანდება. ალმანახში თავმოყრილი სტატიების თემატიკა სხვადასხვა დარგობრივ კვლევას მოიცავს და ქართველ მკითხველს სთავაზობს იურიდიული, თეოლოგიური, ფილოსოფიური, ლინგვისტური, ლიტერატურათმცოდნეობითი და ფსიქოლოგიური ჰერმენევტიკული კვლევის ნიმუშებს. კრებულში შესულია მარტინ ჰაიდეგერის, უმბერტო ეკოს, ლუი ბერკჰოფისა და სხვა კლასიკოსების ნაწარმოებები.

როგორც პრეზენტაციაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „თსუ ლოგოსის“ დამფუძნებელმა ნინო აფციაურმა განაცხადა: ,,ალმანახის მიზანია, ქართველ მკითხველს ღირებული დასავლური ლიტერატურის ნიმუშები უფრო ღრმად და საფუძვლიანად გააცნოს. საქართველო საუკუნეების განმავლობაში დიდი მთარგმნელობითი კულტურითა და გამოცდილებით გამოირჩეოდა. იმედი მაქვს, ჩვენი შრომით მივაღწევთ შედეგს, რაც ამ ტრადიციის ღირსეული გაგრძელება იქნება“.

აღსანიშნავია, რომ პროექტი — ალმანახი „ჰერმენევტიკული ჰორიზონტები“ — არასამთავრობო ორგანიზაცია „თსუ ლოგოსის“ მიერ განხორციელდა. „თსუ ლოგოსის“ პარტნიორები არიან „ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი“ და გამომცემლობა „აზრი“. ალმანახი წელიწადში ორჯერ გამოიცემა.

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

რელიგიათა დიალოგზე: „რა გვაახლოებს და რა გვაშორებს“

30 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის სამეცნიერო წრის ორგანიზებით კონფერენცია — „რელიგიათა დიალოგ ზე: „რა გვაახლოებს და რა გვაშორებს“ — გაიმართა.

როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, რელიგიათა შორის დიალოგს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიო მასშტაბით, ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა — თუ რა ვითარებაა ამ კუთხით დღეს საქართველოში. სტუდენტებმა ამ თემატიკაზე საკმაოდ სერიოზულად იმუშავეს და საინტერესო დასკვნებიც გააკეთეს. კონფერენციის ორგანიზატორის, ასოცირებული პროფესორის ია ხუბაშვილის თქმით, „მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე პოლიტიკურმა პროცესებმა და ტერორისტული ორგანიზაციების გააქტიურებამ მსოფლიო ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე დააყენა, რამაც რელიგიის ფაქტორი კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობას და ისლამური ქვეყნების მეზობლობას, ასევე ქვეყნის რეგიონულ რელიგიურ მრავალფეროვნებას, ამგვარი ღონისძიებების გამართვა, სხვადასხვა ეთნოსისა და კონფესიის ახალგაზრდების ჩართულობით, მეტად მნიშვნელოვანია, მით უფრო, რომ საქართველო ისტორიულად ყოველთვის გამოირჩეოდა რელიგიური ტოლერანტობით“.

აღსანიშნავია, რომ წელს კონფერენციის მუშაობაში თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების სტუდენტებთან ერთად ჩაერთნენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები: მარიამ ჯიბუტი და ანა პაპიაშვილი, რომლებმაც საინტერესო კვლევა — „რელიგიის გამოვლინებები თეორიასა და ქართულ რეალობაში“ წარმოადგინეს. საქართველოს მუსლიმური თემის სტატუსს ეხებოდა მოხსენება II კურსის მაგისტრანტის სალომე ბოჭორიშვილისა, რომელმაც თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში უმცირესობების ინტეგრაციის საკითხებზე ისაუბრა. ასევე საინტერესო აღმოჩნდა კონფერენციის მონაწილეებისთვის თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტების: მარიამ ხელაძის და ნანი მანველიშვილის მოხსენება – „კათოლიკე თემი მესხეთში — წარსული და დღევანდელობა“. სტუდენტების საკვლევი თემა ეხებოდა საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, მესხეთში მცხოვრებ კათოლიკე თემის ისტორიას, მათ დღევანდელ ყოფას. საინტერესო იყო თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტის ხათუნა ბეჟანიძის მოხსენება – „მუსლიმებისა და ქრისტიანების თანაცხოვრება ზემო აჭარაში“. საქართველოსა და ეგვიპტის ურთიერთობები რელიგიურ ჭრილში განიხილა II კურსის მაგისტრანტმა ლელა ბეროშვილმა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა საქართველოსა და ეგვიპტის რელიგიურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე შუა საუკუნეებიდან თანამედროვეობამდე.

მნიშვნელოვან პრობლემატიკას ეხებოდა IV კურსის სტუდენტის მეგი ჭამიაშვილის საკონფერენციო თემა — „რელიგიური ტურიზმი, როგორც დიალოგის ფორმა“, რომელიც საქართველოში არსებულ იმ ისტორიულად წმინდა ადგილების აღწერას ისახავდა მიზნად, რომლებიც განსაკუთრებით იზიდავს უცხოელ და ქართველ მლოცველებს. სტუდენტმა, ასევე, ვრცლად ისაუბრა რელიგიური ტურიზმის განვითარების გზებზე და მნიშვნელობაზე, ასევე საინტერესო პარალელები გაავლო რელიგიური ტურიზმის განვითარების კუთხით ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა თურქეთი, ისრაელი, საბერძნეთი და ა.შ.

ებრაელებისა და ქართველების მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს ეხებოდა III კურსის სტუდენტის გიორგი ვაშაძის მოხსენება — „ებრაელები საქართველოში“. თემაზე მუშაობის დროს იგი ებრაელთა რაბინსაც შეხვდა და ისრაელიდან ჩამოსულ ქართველ ებრაელებსაც.

საინტერესო იყო, ასევე, IV კურსის სტუდენტის მერი ხიჯაკაძის მოხსენება: „ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი აფხაზეთში“. მასში სტუდენტმა წარმოადგინა ის პრობლემები, რომლებიც დღეს ქართულ ეკლესიას აქვს აფხაზეთში — როგორ ცდილობენ აფხაზები ავტოკეფალია მოიპოვონ.

კონფერენციის ბოლოს სტუდენტებმა შეაჯამეს მოსმენილი მოხსენებები და აღნიშნეს კონფერენციის შედეგების მნიშვნელობა, რომელმაც მათ სულ სხვა თვალით დაანახა ის ვითარება, რაც დღეს საქართველოშია. სტუდენტების აზრით, კონფერენციის შეფასებისას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მისი საგანმანათლებლო მნიშვნელობა, რასაც მოწმობს მოხსენებების მოსმენის შემდეგ გამართული დისკუსია მთავარ საკითხზე: — „რა გვაშორებს და რა გვაახლოებს“. სტუდენტებმა ისაუბრეს — თუ რისი შეცვლა შეუწყობს ხელს რელიგიათა ურთიერთობების რეგულაციას და როგორ უნდა განხორციელდეს ცვლილებები უკეთესი შედეგისთვის.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 5-12 მარტს ფლორენციაში რომუალდო დელ ბიანკოს ფონდის ეგიდით (ფონდის ექსპერტი და საბჭოს წევრი ია ხუბაშვილია), დაგეგმილია სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია რელიგიათა შორის დიალოგზე, რომელშიც მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვა რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის ფლორენციის ებრაული თემის რაბინმა და იტალიურმა საერთაშორისო ორგანიზაციამ „რონდინე“, ასევე, სახალხო დამცველის აპარატმა.

შურთხია ბეროშვილი

პასუხი

ჟურნალ „ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეულის“ ავტორებს და მკითხველებს

ქალბატონ თინა მარგალიტაძის მიმართვის პასუხად

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ მე-14 ნომერში დაბეჭდილი წერილი სხვადასხვა ვარიანტით რამდენჯერმე გავრცელდა — ავტორმა პირველი და მეორე რეცენზენტებისადმი პასუხი ჯერ ელექტრონული სახით ორ ნაწილად გამოაქვეყნა ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონოს ბლოგზე, შემდეგ წერილი ჟურნალ „ჰუმანიტარული კვლევების“ რედკოლეგიის წევრებს ინტერნეტით გაუგზავნა, ახლა კი, ფაქტობრივად, იგივე ტექსტი, თანაც კვლავ რედკოლეგიის წევრებისადმი მიმართვის ფორმით, უნივერსიტეტის გაზეთს მიაწოდა დასაბეჭდად.

აკადემიურ წრეებში უხერხულიც კი არის იმაზე საუბარი, რომ რეცენზირება საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკის განუყოფელი ნაწილია. მსოფლიოს ყველა აკადემიური გამოცემა – ჟურნალი იქნება ეს თუ წიგნი — გულისხმობს ფარულ რეცენზირებას; იწერება სხვადასხვაგვარი რეცენზიები — დადებითი და უარყოფითი, ზოგადი და კონკრეტული მითითებებით, არსებითი და არაარსებითი შენიშვნებით; ავტორები სრულად ან ნაწილობრივ ითვალისწინებენ რეცენზენტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და შენიშვნებს, რედკოლეგიას (და არა გაზეთს) დროულად უგზავნიან არგუმენტირებულ პასუხს, სრულად ან ნაწილობრივ გასწორებულ ნაშრომს, რედკოლეგია კი ამის საფუძველზე წყვეტს — დაიბეჭდოს თუ არა ამ სახით მოწოდებული ნარკვევი ჟურნალში. ასე კეთდება ყველგან, კეთდება აკადემიური ფორმით, საჯარო ბრალდებების, მით უფრო კი აჟიოტაჟის გარეშე.

ჩვენში, ყოფიერების და ცნობიერების მრავალი სფეროს მსგავსად, ვითარება ამ მხრივაც რომ განსხვავდება სამყაროს სხვა ნაწილთაგან, ამის გაცნობიერებას დიდი ალღო და შორსმჭვრეტელობა არ სჭირდება – კრიტიკული ხასიათის, მით უფრო კი უარყოფით რეცენზიას, როგორც წესი (ჩვენებური წესი), მოჰყვება ხოლმე ბრალდებები რედკოლეგიისა და რეცენზენტების მიკერძოებაში, არაკომპეტენტურობაში, რასაც ზოგჯერ სდევს (განსაკუთრებით შემტევი ბუნების ავტორებისგან) შეურაცხყოფა და შანტაჟის რიგის მოქმედებებიც კი.

ზოგ ავტორს ჟურნალის დაკომპლექტების ეს ფორმა (ფარული რეცენზირება) აღიზიანებს და/ან აშინებს; ამიტომაა, რომ ამ პრაქტიკას ზოგი „კომუნისტური ეპოქის გადმონაშთად“ სახავს. არადა, ეს პრაქტიკა ხომ ჩვენზე ბევრად დიდი ხნით ადრე, ამასთან გაცილებით უკეთ და გამართული ფორმით, „კაპიტალისტურ სამყაროშია“ მიღებული.

რაც უფრო დიდხანს იარსებებს რედაქციისადმი, საზოგადოდ ოპონენტისადმი, ავტორის მიმართების ამგვარი ფორმა, რაც უფრო ხშირად გამოქვეყნდება მსგავსი სახის წერილები, რაც უფრო ხშირად მოჰყვება რეცენზირებას სხვადასხვა სახის საჯარო ბრალდებები და ბრძოლები — მით უფრო მკაფიო გახდება, რომ ჯერ კიდევ შორს, ძალიან შორს ვართ იმ საერთო ფასეულობებისაგან (მათ შორის – აკადემიურისგანაც), რომლის არამარტო ნაწილად, არამედ ზოგჯერ მეწინავეებადაც კი ვაცხადებთ ხოლმე თავს.

ჟურნალ „ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეულის“ რედკოლეგია ზედმიწევნით იცავს ანონიმურობის პრინციპს და ამის გამო წერილების ავტორს არ ვაცნობთ მისი და სხვების სტატიებთან დაკავშირებულ დეტალებს; კრიტიკული შენიშვნებით გულნატკენი ავტორების ბრალდებების საპასუხოდ (რომ მათი ნაშრომი განზრახ იქნა დაწუნებული ან სხვა სტატია იბეჭდება ავტორის მკაცრი და პრინციპული მიდგომის წყალობით) — განვმარტავთ, რომ ავტორის ვინაობა არც ერთი რეცენზენტისთვის არ იყო და არ იქნება ცნობილი; სტატიის გამოქვეყნების თაობაზე კი, როგორც აქამდე, მომავალშიც გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ რეცენზენტების შენიშვნებთან დაკავშირებით ავტორის მიერ (დროულად) მოწოდებული არგუმენტების, აგრეთვე, ავტორის მიერვე განხორციელებული არსებითი და მრავალრიცხოვანი თუ არაარსებითი და მცირე ცვლილებების გაცნობა-განხილვის შედეგად, რედკოლეგიის თანამშრომლობით როგორც თავად ავტორთან, ისე რეცენზენტებთან. და ბოლოს, განაწყენებული ავტორების აქტიურობის მიუხედავად (განსხვავებით დასავლეთის სამეცნიერო წრეებისგან, სადაც ამ რიგის საჯარო მიმართვები, აკადემიური ჟურნალის ანონიმი რეცენზენტების სამეცნიერო ღირსებების საჯარო განხილვა-განქიქებები, არ უნდა ითვლებოდეს შესაფერის ეთიკურ ნორმად), ჟურნალის კრიტერიუმი ერთია — საზოგადო აკადემიური დონე. ჟურნალისთვის მასალები ამ პრინციპით იკრიბება და სანამ მის გამოცემას ამჟამინდელი რედკოლეგია უძღვება, ეს პრინციპი უცვლელი იქნება.

ჟურნალ „ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეულის“ სარედაქციო კოლეგია

ადამიანად ყოფნის ნიჭი

„სიცოცხლე სევდაა — ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა.
სიკვდილი რაღა არის?
სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა.”

გოდერძი ჩოხელი

ა რიან ადამიანები, რომლებიც ადამიანად ყოფნის და არყოფნის სევდას ერთნაირად გვიმსუბუქებენ, რადგან მათი სიცოცხლე დღესასწაულს ჰგავს, იმ ქვეყნად გარდასვლა კი — გარდასახვას, სხვა განზომილებაში გადანაცვლებას. ასეთად ყოფნა ბევრს არ შეუძლია. ეს მხოლოდ იმ ადამიანების ხვედრია, რომლებსაც განგებამ ნიჭი დაამადლა – ადამიანად ყოფნის ნიჭი.

სულ ცოტა ხნის წინ, 90 წლის ასაკში გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი პრორექტორი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ზურაბ ფორაქიშვილი, ადამიანი, რომელმაც თითქმის საუკუნე ატარა დიდ წინაპართა ღირსეული აჩრდილები, ქვეყნისა და ხალხის სიყვარული, მეგობრებისა და კოლეგების პატივისცემა. ასეთებზე იტყვიან: „გარდვიდა ამ სოფლითგან და შეეძინა ერსა თვისსა.“

ზურაბ ფორაქიშვილი

ზურაბ ფორაქიშვილი დაიბადა 1926 წლის 25 აგვისტოს. მამა — ირაკლი დავითის ძე ფორაქიშვილი მონპელიეს (საფრანგეთი) უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, გასული საუკუნის 30-იან წლებში საქართველოს მეღვინეობის სამრეწველო ტრესტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ყოფილა (იგი გახლდათ დავით სარაჯიშვილის მეუღლის, ეკატერინე ფორაქიშვილის - - - - - ბიძას შვილიშვილი და, საკუთარი მომავლის ღვინის ტექნოლოგიასთან დაკავშირება, სწორედაც რომ, ბუნებრივი იქნებოდა). მისი პაპა – დავით ფორაქიშვილი — ტფილისის საპატიო მოქალაქე და მრეწველი იყო, ხოლო ბებია – თავადიშვილი თინათინ ვაჩნაძე. ბატონი ზურაბის დედას, ნინა კონსტანტინეს ასულ გუგუშვილს კლასიკური გიმნაზიის განათლება ჰქონია მიღებული. ამ ღირსეულ ოჯახს ნამდვილად არ გაუმართლა, რადგანაც კომუნისტური რეჟიმის რეპრესიული მანქანა იმ ეპოქის ბევრი ჩინებული ადამიანისთვის აღმოჩნდა საბედისწერო. მას არც ირაკლი ფორაქიშვილისთვის აუვლია გვერდი — ვერ აპატიეს მონპელიეს უნივერსიტეტში მიღებული განათლება. 1937 წელს იგი დახვრიტეს, მეუღლე კი 10 წლით გადაასახლეს. ბატონი ზურაბი ცრემლმორეული იხსენებდა, როგორ დაბრუნდა დედა გადასახლებიდან, როგორ ეძება საკუთარი ბინიდან გასახლებული შვილები თბილისში და როგორ მიაგნო მათ: „ამ დროისთვის ჩვენ უკვე კომუნალურ ბინაში ვცხოვრობდით. სახლში მარტო ვიყავი და რაღაცას ვკითხულობდი; საერთო დერეფნის კარზე კაკუნი გაისმა. რატომღაც მე გავედი, კარი გავაღე და დავინახე დედაბერი, ზურგზე უშველებელი ჩანთით; უცნობმა რუსულად მკითხა: „Где тут живет семья Поракишвили“? და, აი, მაშინ ვიცანი დედა“, — წერდა ბატონი ზურაბი წლების შემდეგ და სინანულს გამოთქვამდა, რომ დედა მის კარიერულ წინსვლას ვერ მოესწრო...

სწორედ დედის და მამის ღირსეულ მამულიშვილობას უკავშირებენ დღეს ფორაქიშვილების ოჯახის ზნეკეთილობას ის ადამიანები, რომლებიც მათ გარშემო ტრიალებდნენ. სიმართლე, ქვეყნის სიყვარული და სიკეთე — ეს სამი რამ უანდერძებიათ მათ შვილებისთვის და ბატონი ზურაბიც განუხრელად მისდევდა მათ.

ადვილია, მოყვე რეპრესირებული ოჯახის ისტორია და რომანტიზმის საბურველში გახვიო ნიჭიერი ახალგაზრდის თავგანწირული ბრძოლა თვითდამკვიდრებისთვის, მაგრამ ზურაბ ფორაქიშვილის ცხოვრების გაცნობის შემდეგ რწმუნდები, როგორ ფეხდაფეხ დაჰყვებოდა მას უსამართლობის აჩრდილი; როგორ იშვიათდებოდა ამგვარი ადამიანების გვერდით სიხარული, რადგან აზროვნებისგან დაცლილ, მონოტონურ საზოგადოებაში უწევდათ ცხოვრება; ხედავ, რა ძნელია, როცა საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის შესწავლის მსურველსა და ოქროს მედლის მფლობელს, მხოლოდ ბოლო ეტაპზე, სინანულით, მაგრამ მაინც უკან გიბრუნებენ საბუთებს, რადგან ვიღაც ჩეკისტმა შენს მშობლებს „ხალხის მტრები“ უწოდა...

ზურაბ ფორაქიშვილს ამ „წარუმატებელი“ მცდელობის შემდეგაც არ დაუყრია ფარ-ხმალი. თბილისში დაბრუნებულმა ფილოსოფიის შესწავლა გადაწყვიტა და სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა. მშობლების რეაბილიტაციის შემდეგ კი წარმატებით გაიარა კარიერის გზა და მუდმივად ცდილობდა სიკეთე ეკეთებინა.

სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა: თბილისის 25-ე საშუალო სკოლის მასწავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჯერ ინსტრუქტორად და სექტორის გამგედ, შემდეგ კი მეცნიერების, კულტურის და სასწავლო დაწესებულებების განყოფილების გამგის მოადგილედ; საქართველოს უმაღლესი და საშუალო განათლების მინისტრის პირველ მოადგილედ, თსუ-ის პრორექტორად და რელიგიათმცოდნეობის კათედრის გამგედ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის საქალაქო ინსტიტუტის რექტორად, კოლეგიის წევრად. რამდენი კეთილი საქმე დაასრულა, რამდენი უნივერსიტეტი და სკოლა ააშენა...

მისი ახლობლები და სტუდენტები დღესაც იხსენებენ, როგორ ჩაუდგა შუაში სტუდენტებს 1978 წლის დემონსტრაციაზე, რომელიც ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შენარჩუნების მოთხოვნით ზღვასავით მოედო თბილისს, როგორ იდგა რუსთაველის გამზირზე სამხედრო კოლონასა და სტუდენტებს შორის მანამ, სანამ ედუარდ შევარდნაძე კრემლის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა.

ზურაბ ფორაქიშვილის სამეცნიერო ინტერესები, ძირითადად, რელიგიათმცოდნეობას, კერძოდ კი, საქართველოში დუხობორების ცხოვრებას შეეხებოდა. ამავე თემას ეძღვნებოდა მისი მონოგრაფია, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში თავად ბატონ ზურაბს უნახავს აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკაში, და მისთვის წარუდგენიათ, როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაშრომი რელიგიური უმცირესობების შესახებ.

იგი ასევე ინტერესდებოდა უსახლკარო ბავშვების პრობლემებით, რომელთა გადაჭრისთვის არაერთი სასიკეთო საქმეც უკეთებია. ახლა იხსენებენ, რომ, საქართველოს პატრიარქის უშუალო ძალისხმევით, ბატონ ზურაბს მცირე საწარმოც გაუხსნია ასეთი ბავშვებისთვის, მათ კი, მადლიერების ნიშნად, უმშვენიერესი ხატი უჩუქებიათ შემწესთვის და ეს ხატი ახლაც საპატიო ადგილზე ასვენია ფორაქიშვილების ოჯახში.

ზურაბ ფორაქიშვილის ღვაწლი ჯერ 1997 წელს დაუფასებიათ „ღირსების ორდენით“; შემდეგ კი, 2001 წელს, მოზარდთა შორის სამართალდარღვევების პროფილაქტიკის საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულებისთვის; 1989-1990 წლებში კი — ცხინვალის რეგიონში წარმოშობილი ლოკალური კონფლიქტის დროს დაძაბულობის მშვიდობიანი მოგვარების ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პოლიციის თანამშრომლების ოჯახების მატერიალური თუ მორალური მხარდაჭერისთვის ზურაბ ფორაქიშვილს „ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი“ გადაეცა. ამ ორდენით მეტად ამაყობდა თურმე ბატონი ზურაბი.

პირად ცხოვრებაში იღბლიანი აღმოჩნდა. მან ბედნიერი და ხანგრძლივი ცხოვრების გზა განვლო მეუღლესთან, თსუ-ის დოცენტ ვიქტორია ბეკშანოვასთან, ულამაზეს და კეთილშობილ ქალბატონთან ერთად (ქალბატონ ვიქტორიას მშობლები რევოლუციამდე დიდი თეატრის მომღერლები იყვნენ, შალიაპინის და სობინოვის მეგობრები).

ზურაბ ფორაქიშვილის უანგაროობა, სიკეთე, უკიდეგანო განათლება და ადამიანური ურთიერთობის ნიჭი დღემდე ხიბლავდა ყველას, ვისაც ერთხელ მაინც შეუღია ამ ოჯახის კარი. იხსენებენ, რომ აქ მუდმივად ტრიალებდნენ ბატონი ზურაბის მეგობრები, რომლებიც ფესვს ღრმა ბავშვობიდან იღებდნენ და სიჭარმაგემდე ივსებოდნენ საინტერესო ადამიანებით... აქ ხშირად იყრიდნენ თავს ქართული მეცნიერების კორიფეები — ილია ვეკუა, ირაკლი აბაშიძე, დავით ჩხიკვიშვილი, გურამ ჭილაშვილი, სერგი ჯორბენაძე და სხვები. ბევრჯერ უმასპინძლია საერთაშორისო დელეგაციებისთვის, მეცნიერებისა და ინტელიგენციისთვის, მისი სტუმრები ყოფილან, მაგალითად, მსოფლიოში განთქმული ავსტრიელი მეწარმე სვაროვსკი, პოეტი რობერტ როჟდესტვენსკი, მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორი რემ ხოხლოვი, ბრიტანეთის წამყვანი მეცნიერები აივან როიტი და პიტერ ლიდიარდი.

ამ ოჯახში მისვლა და ქალბატონი ვიკას მასპინძლობა უყვარდათ ქალიშვილის, ნინოს მეგობრებსაც. როგორც თსუ-ის იმუნოლოგიის კათედრის პროფესორი მარიამ თევზაძე იხსენებს, ეს იყო ოჯახი, რომელიც მუდმივად სითბოს და სიკეთეს ასხივებდა: „მონუსხული ვისხედით ნინოს მეგობრები და ვუსმენდით ბატონი ზურაბის საუბრებს. იგი იყო უაღრესად განათლებული, ზნეკეთილი ადამიანი, რომელსაც რაღაცნაირი ნათელი ედგა სახეზე. რამდენჯერ მიგვიმართავს მისთვის რჩევით და შეუფასებელი დარიგებაც მიგვიღია. იგი გახლდათ თითოეული ჩვენგანის გზამკვლევი“, — ამბობს მარიამი და იხსენებს, რომ ბატონი ზურაბი ბოლომდე ინარჩუნებდა ინტერესს სიცოცხლისადმი — აქტიურად ეცნობოდა სიახლეებს, კითხულობდა და იმის დროსაც პოულობდა, რომ სპორტისთვის მიედევნებინა თვალი. მისი ინტერესის სფეროს საზღვარი არ ჰქონდა, ერთნაირი სიღრმით ფლობდა მსოფლიო ისტორიას, პოლიტიკურ მეცნიერებებს, გეოგრაფიას, ფილოსოფიასა და ლიტერატურას...

და კიდევ, მისი ცხოვრების განუყრელი ნაწილი იყო ყოველდღიური საუბრები ქალიშვილთან — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრის დამფუძნებელთან და გამგესთან, ვესტმინსტერის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის პროფესორთან ნინო ფორაქიშვილთან. „არაჩვეულებრივი მამა იყო – გულისხმიერი მეგობარი, თბილი და ყურადღებიანი. არასოდეს ჩარეულა ჩემს საქმეში, „თვითონ როგორც უნდაო“, — იტყოდა და დელიკატურად უდგებოდა ყველა იმ პრობლემას, რომელიც ოდესმე შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ჩვენს ირგვლივ. საოცრად ლიბერალი ადამიანი გახლდათ. ზოგჯერ, როცა ჯერ კიდევ სკოლის უფროს კლასებში ვსწავლობდი, მეგობრები სადმე ვიკრიბებოდით და მაგვიანდებოდა, გულში ვლოცულობდი, რომ ტელეფონის ყურმილი მამას აეღო, რადგან ის დინჯად დამთანხმდებოდა, დედა კი ძალზედ მკაცრი იყო და არასოდეს მაძლევდა ამის უფლებას. ბოლო დროს ძალიან ბევრი მეგობრის წასვლამ დასწყვიტა გული, პირველ რიგში კი — მეუღლის, მაგრამ მაინც ცდილობდა, ბოლომდე ეერთგულა სიცოცხლისთვის და ღირსეულად გაევლო წლები“, — იხსენებს ქალბატონი ნინო...

არიან ადამიანები, რომელთა სიცოცხლეც ადამიანად ყოფნის სევდას გვიმსუბუქებს, სიკვდილი კი – არყოფნის სევდას...

ასეთი იყო ზურაბ ფორაქიშვილიც...

მაია ტორაძე

მედეა ზაალიშვილი უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვეს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ის პედაგოგისა და მთარგმნელის მედეა ზაალიშვილის შემოქმედებითი საღამო გაიმართა. თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ მედეა ზაალიშვილი მთარგმნელობით და პედაგოგიურ საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა.

„უკვე ოთხი ათეული წელიწადია ქალბატონი მედეას სახელი უკავშირდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ამ ხნის განმავლობაში ბევრი კარგი თარგმანი გვაჩუქა მკითხველებს, იგი დღესაც აქტიურად თარგმნის ლიტერატურას“, – აღნიშნა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

ღონისძიებაზე მედეა ზაალიშვილმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს. „დღევანდელმა დღემ დამანახა, რომ წვლილი შემიტანია მთარგმნელობით ხელოვნებაში. ჩემი საქმიანობა ერთი კონკრეტული მიმართულებით არ შემოიფარგლება, ვთარგმნი პოეზიასაც და პროზასაც, საბოლოოდ ბევრი ნამუშევარი დაგროვდა, თუმცა, მთავარი ის კი არაა, რამდენს თარგმნი, არამედ, როგორ თარგმნი“, – განაცხადა მედეა ზაალიშვილმა.

ღონისძიებას თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დაესწრნენ.

მედეა ზაალიშვილის სახელი კარგად არის ცნობილი არამარტო საუნივერსიტეტო საზოგადოების, არამედ მწერლობითა და ევროპული კულტურით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის; 1963 წლიდან 2005 წლამდე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. წლების განმავლობაში თარგმნიდა დიდ ინგლისელ და ამერიკელ პოეტთა და პროზაიკოსთა თხზულებებს. მისი თარგმანებიდან გამორჩეულია: უილიამ შექსპირის „ტიტუს ანდრონიკუსი“, უილიამ შექსპირის „ვენერა და ადონისი“, ტომას სტერნზ ელიოტის „უნაყოფო მიწა“, ტომას ვულფისა და შირლი ჯეკსონის მოთხრობები და სხვა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

გურამ დოჩანაშვილის შეხვედრა მკითხველთან

ახის თვალებით ბრმები გულის თვალებით ხედავენ! – ასეთია გურამ დოჩანაშვილის ბოლო რომანის მთავარი გზავნილი.

„ბრმად ყოფილი და...“ გასულ წელს გამოიცა, თუმცა, როგორც „ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრში“ 9 დეკემბერს გამართულ საჯარო ლექციაზე ითქვა, რომანს გაგრძელებაც ექნება და მას მკითხველი მომავალ წელს გაეცნობა. ლექცია ცენტრის მიერ გამართული შეხვედრების ციკლის „მე-ევროპელის“ ფარგლებში გაიმართა და მასზე დასწრება თავისუფალი იყო, რამაც უამრავ ახალგაზრდას საყვარელ მწერალთან პირისპირ შეხვედრის და გასაუბრების შესაძლებლობა მისცა. წლევანდელი დეკემბრის სუსხისა და, იმის მიუხედავად, რომ იმ დღეს 2-ჯერ გაითიშა სინათლე თავისუფლების მოედანზე (სადაც ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრია განთავსებული), დარბაზი მაინც სავსე იყო. შეკრებილებს კითხვები უამრავი ჰქონდათ, თუმცა, ყველა კითხვის დასმა და ყველაფერზე პასუხის მიღება ვერ მოხერხდა.

80 წელს მიღწეული მწერალი, ძირითადად, ახალი რომანის შესახებ საუბრობდა, რომლის ინსპირაციის წყაროც სახარებისეული ამბავია ბრმად დაბადებულ ყრმაზე. „ — ვინ ცოდა, ამან თუ ამის მშობლებმაო? მაცხოვარი პასუხობს: — არც მან და არც მისმა მშობლებმა, არამედ იმიტომ დაიბადა ბრმად, რომ განმტკიცდეს მისით ძლიერება ღმრთისა!” – ეს ძლიერება ღმრთისა რითი განმტკიცდა, არსად არის ნათქვამი”, – ამბობს მწერალი და სწორედ იმის გარკვევას ცდილობს, რას შეიძლება ნიშნავდეს ბრმად დაბადება და ბრმად ყოფნა.

ცნობილია, რომ ნაწარმოებზე მუშაობისას გურამ დოჩანაშვილი სამების ლავრაში ცხოვრობდა. ამ გამოცდილების გარდა, მისივე თქმით: „ძალიან მეხმარებოდა და მეხმარება დავით ფაილოძე – ის ადამიანი, რომელმაც ორივე თვალის მხედველობა დაკარგა 1989 წლის 9 აპრილის ღამეს. ეგეთი შემართული ადამიანი ცოტა მეგულება. ძალიან დავუახლოვდი და მასში სამაგალითო სიმტკიცე დავინახე. ისე კი ვღელავ ამ ნაწარმოებთან დაკავშირებით! ხშირად ვეკითხები რჩევას უწმინდესს, მისი პასუხები ძალიან მეხმარება – ვიცი, რომ ნამდვილი, ნაღდი პასუხებია!”

მწერლის თქმით, სწორედ უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მისცა ძალა ხანდაზმულობის ასაკში ეს წიგნი დაეწერა.

მკითხველთა ნაწილი უკვე იცნობს დოჩანაშვილის ახალ ნაწარმოებს. გამოხმაურებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მწერლის ღვაწლს უქმად არ ჩაუვლია და „ბრმად ყოფილი და...“-ს წაკითხვის უდიდესი სიამოვნება ჯერ კიდევ წინ გვაქვს მათ, ვისაც აქამდე ხელში ვერ ჩაუვარდა დოჩანაშვილის ახალი ნაწარმოები.

ლელა კურდღელაშვილი

ყველა სპორტულმა სექციამ თსუ-ს სხვადასხვა თანრიგის მედალი მოუტანა

მიმდინარე წელი საკმაოდ წარმატებული იყო უნივერსიტეტისათვის სპორტული მიმართულების მხრივ. უნივერსიტეტის სტუდენტური საკალათბურთო გუნდი გახდა სტუდენტური საკალათბურთო ლიგის გამარჯვებული, ფუტსალის სტუდენტურმა გუნდმა მოიგო საუნივერსიტეტო ლიგა ფუტსალში და გაემგზავრა ევროპის სტუდენტურ ჩემპიონატზე ფუტსალში, სადაც 8 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა. თსუ-ის ისტორიაში პირველად მოიპოვა გუნდმა საქართველოს ჩემპიონის ტიტული ფუტსალის პროფესიონალურ ჩემპიონატში: ფუტსალის სტუდენტურმა გუნდმა იასპარეზა ფუტსალის ჩემპიონთა ლიგაზე და გადალახა 2 საკვალიფიკაციო ეტაპი.

2017 წელს თსუ 2 ოქროს, 2 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალოსანი გახდა – მოვიგეთ „სტუდენტური დღეები“.

მიმდინარე წელს უნივერსიტეტში არსებულმა ყველა სპორტულმა სექციამ თსუ-ს მოუტანა სხვადასხვა თანრიგის მედალი. ამასთან დაკავშირებით ოქტომბერში უნივერსიტეტში გაიმართა შემაჯამებელი გალა დაჯილდოება, სადაც ყველა წარმატებული სექცია და სპორტსმენი დაჯილდოვდა.

მორიგ სიახლეებზე გვესაუბრება თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი ხარჯავანიძე*:*

უნივერსიტეტის სტუდენტურმა გუნდა უკვე მოიპოვა პირველი სეზონის ჩემპიონის ტიტული

უნივერსიტეტის სპორტული გუნდები მონაწილეობას იღებენ კალათბურთის სტუდენტური ლიგის პირველ ეტაპში, სადაც გუნდი ასპარეზობს წარმატებით. აღსანიშნავია, რომ ლიგაში მონაწილეობს 20 უმაღლესი სასწავლებელი. ჩემპიონატი იმართება ორ სეზონად, მთელი სასწავლო წლის მანძილზე, ანუ ოქტომბრიდან ივნისამდე. უნივერსიტეტის სტუდენტურმა გუნდა უკვე მოიპოვა პირველი სეზონის ჩემპიონის ტიტული, წარმატებით იასპარეზა რა მთელი სეზონის მანძილზე. ბოლოს ორ გასვლით ტურში – ქუთაისსა და ბათუმში დიდი უპირატესობით დაამარცხა ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლის გუნდები.

წარმატებით ასპარეზობს ფუტსალის სტუდენტური ნაკრებიც, საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის თასზე, რომელშიც 32 უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობს. სხვათა შორის, თსუ სამ გზის გამარჯვებულია აღნიშნული ჩემპიონატის და მსგავსი შედეგი არც ერთ უმაღლეს სასწავლებელს არ აქვს. გუნდი ამჟამად იმყოფება ნახევარ ფინალში და დიდი იმედი მაქვს, წლის ბოლოს მეოთხედ მოვიგებთ თასს.

აღსანიშნავია თსუ-ის სტუდენტების ეკო-ლაშქრობები, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა მიმდინარე წლის ოქტომბერში და საკმაოდ საინტერესო და წარმატებული პროექტი აღმოჩნდა.

შეთანხმება კომპანია ჰიუნდაისთან

სულ რამდენიმე დღის უკან პრაქტიკულად მივაღწიეთ შეთანხმებას კომპანია ჰიუნდაისთან, რომელიც გახდება ჩვენი საკალათურთო კლუბის სპონსორი, რომელიც მონაწილეობს საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატის მე-2 ლიგაში. ეს მოგვცემს საშუალებას გავაძლიეროთ გუნდი და ვიბრძოლოთ უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად, რათა უმოკლეს პერიოდში კვლავ დავუბრუნოთ დიდება უნივერსიტეტის საკალათბურთო კლუბს და თსუ-ს.

წინასაახალწლო ღონისძიებები თსუ-ში

წინასაახალწლო პერიოდი განსაკუთრებით დატვირთულია ჩვენი დეპარტამენტისთვის. იგეგმება სხვადასხვა საახალწლო და სოციალური პროექტები. თსუ-ში გაიმართება ტრადიციული საახალწლო წვეულება ბავშვებისთვის, სადაც თსუ-ის თეატრალური დასი „სხვენი“ გამართავს წარმოდგენას.

კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი აქტიურად გეგმავს და მუშაობს 2017 წელს გასამართ ღონისძიებებზე. მომავალ წელს უნივერსიტეტი სტუდენტებს შესთავაზებს მრავალფეროვან პროექტებსა და გაზრდილ სპორტულ სექციებს.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი უნივერსიტეტს და, ზოგადად, საუნივერსიტეტო საზოგადოებას.

მინდა, ვუსურვო მშვიდობა და განვითარება!

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **ანა ბოლქვაძე**
კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ლადო პაპავა, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯაიანი, არსენ გვენეტაძე, მარიამ ცისკაძე, ნინო ჭალაგანიძე, ირმა რუხაძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-8 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62